


# საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, ბედობით ბეჭდუბით სიფყვას, ფყუილებით და ჭბბბბით ბუბბბის გაცხანა ყუულა უკადრბბბბაყ უსაბაგულბბბა.

**დაარსებულია 1918 წელს.**

სამშაბათი, **21** აპრილი, 2015 წელი.

№71 (7716)

# რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge **ვებ გვერდი: www.sakresp.ge** **ფასი 50 თეთრი.**

## გროზაბად გაყიდულო ქართულო მინავ!



**გიცავს კი კანონი?**

**6** **მინავის განიკუბა სამუბლოს ღალბბბ ტოლფასია**

### საქართველოს პარლამენტის დელეგაციის ვიზიტი უკრაინაში



გუშინ უკრაინაში საქართველოს პარლამენტის დელეგაციის ვიზიტი დაიწყო. პარლამენტის პრესსამსახურის ცნობით, ოფიციალური შეხვედრების გამართვამდე, საპარლამენტო დელეგაციამ, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ხელმძღვანელობს, უკრაინის პოლოდომორის მსხვერპლთა ხსოვნის მემორიალი ყვავილებით შეამკო და კიევი-პერეკოის ისტორიულ-კულტურული ეროვნული ნაკრძალი მოინახულა. დელეგაციის წევრები ზეციური ასეულის გმირების ქუჩასაც ეწვი-

ნენ და მაიდანზე დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს. ქართველმა პარლამენტარებმა პირველი ოფიციალური შეხვედრები უკრაინის უმაღლეს რადაში გამართეს. დელეგაციის წევრები უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარეს ვლადიმერ გრო-

## არს პრემიარის და არს პრემიარის გეგმეგუი ერეკანეი ვიზიტი არ შედის

საბარბბბბლოს მთავრობის წევრები არ ადასტურებენ ინფორმაციას, რომ 23-24 აპრილს, სომხეთში გენოციდის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრება. შესაბამისად, ისინი არ ადასტურებენ ინფორმაციას საქართველოს პრემიერ-მინისტრის რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან სომხეთში შესაძლო შეხვედრის თაობაზე. „მე როგორც ვიცი, პრემიერის გეგმეგუი მსგავსი ვიზიტი არ შედის. ამასთან, ამ პერიოდში ჩამოდის ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო. შესაბამისად, არ გამოგია და პირველად მესმის თქვენგან, რომ ვინმე შეიძლება ჩავიდეს სომხეთში“, – განაცხადა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა. სომხეთში ვიზიტთან დაკავშირებით, გადანყვეტილების მიღების თაობაზე ცნობილი არ არის ასევე სახელმწიფო მინისტრის, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში დავით ბაქრაძისთვის. იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ რეგიონის ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობებიდან გამომდინარე, საქართველოს მხრიდან სომხეთსა გენოციდის ოფიციალური აღიარება არ მომხდარა. რაც შეეხება რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებს შორის პირდაპირი დიალოგის აუცილებლობას, დავით ბაქრაძის თქმით, პირველი პირების შეხვედრა შეიძლება მოხდეს „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძალიან კონკრეტულ შედეგებზე იქნება ორიენტირებული და უპირობოდ იქნება გათვალისწინებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი“. 23-24 აპრილს, სომხეთში გენოციდის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს არც პრეზიდენტი დაესწრება, რადგანაც ამ დროს საქართველოში ბელარუსის პრეზიდენტი იქნება ჩამოსული, – ამის შესახებ საგარეო ურთიერთობათა საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველმა თენგიზ ფხალაძემ განაცხადა. ფხალაძის თქმით, ის, რომ საქართველოს პრეზიდენტი სომხეთში აღნიშნულ ღონისძიებას არ დაესწრებოდა, მომწვევ მხარეს თავის დროზე ეცნობა დიპლომატიური არსების საშუალებით.

## ყველას საანაბრო სარბეგელს სობ-სობა რომ „ნაენიქნოს“ ...

**3** **ქორნელი კაკინია**

**ევროპული ქვეყნების ნარმომადგენელთა ვიზიტი უფრო დამამხვილებელ ხასიათს ატარებდა**

**სამეგრელოს მხარე**

**სკოლაგდელი განათლება ყველა აბაშელი ბავშვისთვის ხელმისაწვდომია**

**7**

**ბრიბოლ რობაქიძე**

**4**

**„ქოლარიული ნება და ჭკუა – რისხვა თიმურის“**

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვბბბან ვერ ნახავ!..**



ოპოზიციის ცუდ მდგომარეობაშია!

მართლაც თუ არ მართლაც? — კითხვა, რომელიც ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით უჩნდება საზოგადოებას, ერთმნიშვნელოვნად რთულად პასუხგაცემია... ვინაიდან დღეს ამომრჩეველთა დიდი ნაწილი კვლავ გულისყურით უსმენს ყოფილი პრემიერის მოსაზრებებს და კიდევ უფრო მეტად აინტერესებს, რას ფიქრობს ის იმ მოვლენებზე, რისი ერთ-ერთი შემოქმედიც თავადაა. არ ვიცი, კონკრეტულად ვის და როგორ მართავს ოლიგარქი, მაგრამ ისტაბლიშმენტს რომ უდავოდ მართავს, ცხადია... მართლაც, საკუთარი აზრებით, ხმახმალა გამოთქმული ფიქრებით და... ცოტა არ იყოს, შიშველი ვულნერაბლობით, რომლის მიღმა შეცდომები უფრო ადვილი დასახანია, ვიდრე სინამდვილე. ბიძინა ივანიშვილის გამონათქვამებში ზოგიერთი მხოლოდ რეალობას ხედავს, ზოგიერთი იმასაც ვერ ამჩნევს, რაც ხელისგულზე დევს, მაგანი კი საშინელი სინონიმებით ამოვსებს, და ა. შ. და ა. შ. ყველას საკუთარი შეხედულება აქვს, მათ შორის, საია-ს ყოფილ თავმჯდომარეს კახა კოჭორიძეს, რომელიც არაერთხელ გააკრიტიკა ყოფილი პრემიერმა და არც თუ დაუმსახურებლად...

„შეიძლება ისიც მოვისმინოთ, რომ რადგან თითოეულ კიდურზე სუთი თითი მაქვს, საექვოდ მიანიშნებდეს ჩემს კავშირზე ნაციონალურ მოძრაობასთან“, — ასე გამოეხმაურა პრეზიდენტის მრჩეველი კახა კოჭორიძე ბიძინა ივანიშვილის მიერ გადაცემა „20/30“-ში გამოთქმულ ბრალდებებს. კოჭორიძის თქმით, ბიძინა ივანიშვილი თავად არ იცავს მაღალ სტანდარტს. „უკვე რამდენი გადაცემა გავიდა, რაც ვისმენ ამ ბრალდებებს. მიჩნდება კითხვა, სად არის ის მაღალი სტანდარტი, რომლის დამკვიდრებისკენ ბიძინა ივანიშვილი მთელ ქვეყანას მოუწოდებს. კრიტიკა უნდა იყოს დასაბუთებული, არგუმენტირებული, მტკიცებულებებით გამყარებული. მან ამ სტანდარტის დამკვიდრების გამო შექმნა გადაცემა „20/30“, თუმცა, მერამდენე გადაცემა ვისმენ ბრალდებებს ნაციონალურ მოძრაობასთან კავშირისა ჩემთან, გიგაურთან და ლომჯარიასთან მიმართებაში. კონკრეტული მტკიცებულება, კონკრეტული არგუმენტი სად არის, ეს კითხვა კითხვად რჩება.

მისივე თქმით, ბიძინა ივანიშვილისგან მხოლოდ ერთი არგუმენტი მოისმინა, თუმცა რამდენად შეიძლება მას არგუმენტი ეწოდოს, ამას საზოგადოება განსჯის.

ერთადერთი არგუმენტი, რაც მთელი ამ გადაცემების განმავლობაში მოვისმინეთ, ის იყო, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გადაცემის სამუშაოდ, ეს რამდენად არის არგუმენტი და რამდენად შეიძლება ამ წინადადებას არგუმენტი ეწოდოს, საზოგადოებამ განსაჯოს“, — აღნიშნა კოჭორიძემ.

კოჭორიძე იმედოვნებს, რომ დაანონსებული ფილმში მაინც იქნება კონკრეტულ პასუხები ბიძინა ივანიშვილის ბრალდებებზე.

„დაველოდოთ დაანონსებულ ფილმს, თუმცა, თუ ეს ფილმი იქნება ამ მსჯელობის გაგრძელება, უნდა შევეხმიანო ეკა გიგაურს, ერთად ვუყუროთ დიდ ეკრანზე და ანონსებულ ფილმს. ვისი მოსაზრებაც მის პოლიტიკურ ხედვასთან თანხვედრაში არ მოდის, ბიძინა ივანიშვილის აზრით, ყველაზე მარტივი გზა რომ ამ ადამიანების წინააღმდეგ იმოქმედოს, უნდა დააბრალდოს ნაციონალურ მოძრაობასთან კავშირი“. — აღნიშნა კოჭორიძემ.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი იმ ადამიანებს ასახელებს, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის „სიცრუის მანქანას“ ემსახურებიან, თუმცა, ამას არ აღიარებენ. მისი თქმით, ერთ-ერთი მათგანი არის რომან გოციროძე, რომელიც აპოკალიპსს ხატავს. ამის შესახებ ივანიშვილმა ტელეკომპანია GDS-ის ეთერში ისაუბრა.

„რომან გოციროძის ყველა განცხადება აბსოლუტურად თანხვედრაში მოდის ნაციონალურ მოძრაობასთან. თანხვედრა არ არის პრობლემა, პრობლემა ის არის რომან გოციროძის განცხადებები, რომელსაც სპეციალისტობაზე აქვს პრეტენზია, თანხვედრაში მოდის სიცრუესთან“, — განაცხადა ივანიშვილმა.

ყოფილი პრემიერმა ასევე ისაუბრა საკუთარ დეპუტატ ალექსეი ელისაშვილთან დაკავშირებით. ივანიშვილის განცხადებით, საუბედუროდ, ალექსეი ელისაშვილის ქმედებებიც და განცხადებებიც ძალიან თანხვედრაში მოდის იმ სიცრუესთან, რასაც ნაციონალური მოძრაობა ავრცელებს.

„ეკონომიკაზე, როდესაც დაინტერესდები, რომ ინგრევა, ყველაზე მძიმე სიტყვები ელი-საშვილმა იხმარა, რომ ეკონომიკური სტაგნაციაა ქვეყანაში. მე შეხვედრაზე ვუთხარი, თუ იცის რა არის სტაგნაცია. ნაცვლად იმისა, რომ ეთქვა, შემეშალაო, თქვა, არ გამლახეს, თორემ არაფერი დამაკლესო. „პანორამა თბილისზე“ ელისაშვილი აქტიურობს ყველაზე მეტად. რა უნდა ნაციონალურ მოძრაობას? უნდა, რომ წარმოაჩინოს თითქოს ქვეყანაში ყველაფერი ინგრევა და იქ, სადაც ყველაზე დიდი ინვესტიციაა, როგორმე შეაჩერონ. ისეთ აბსურდშია ელისაშვილი შესული, რომ ამბობს, პროექტი მარცხენა სანაპიროზე უნდა აშენდეს და მარჯვენაზე არაო“, — აღნიშნა ივანიშვილმა. მისივე თქმით, „პანორამა თბილისთან“ დაკავშირებით საჯარო შეხვედრა გაიმართება,

ბიძინა ივანიშვილი:

მე რომ ქვეყნის მტრად დამასახელებ, ეს მართლაც საოცრებაა!

რომელსაც ალექსეი ელისაშვილს არ დაასუსტებს.

ბიძინა ივანიშვილი კახა კოჭორიძესა და ეკა გიგაურთან დაკავშირებით ამბობს: „ორივე ორგანიზაცია უაღრესად პატივისცემად ჩემთვის. ძალიან დიდი დამსახურება აქვთ როგორც საიას, ისე „საერთაშორისო გამჭვირვალობას“ ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში და მათ დამფინანსებლებსაც მაღლიერებით მოვისხენიებ. მაგრამ, ეს პიროვნებები ნაცვლად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე ეზრუნათ, აბსოლუტურად თანხვედრაში მოდიოდნენ იმ სიცრუის ტირაჟირებასთან, რასაც ნაციონალური მოძრაობა ასერხებდა. კოჭორიძემ ეს გააფორმა, როდესაც პრეზიდენტის სამსახურში გადავიდა, რომელიც დიდი ხანია ამჟღავნებდა ოპოზიციურ დამოკიდებულებას“, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, გიგაურისა და კოჭორიძის მიმართ გადაცემაც მზადდება. როგორც ივანიშვილი აღნიშნავს, ყველა თავის სახელი უნდა ერქვას. გინდა ნაციონალური მოძრაობის წევრობა? ესეც შენი ნებაა და არავინ ამას არ ზღუდავს, — აღნიშნა ყოფილი პრემიერმა.

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრმა, ტელეკომპანია GDS-ის ეთერში მაია ფანჯიკიძეზე ისაუბრა. მისი თქმით, მაია ფანჯიკიძემ, რომელიც არ იყო „თავისუფალი“ დემოკრატების“ წევრი, გადადგომით „ნეპოტიზმი გააფორმა“.

„როდესაც გადადგა სხვა პარტიის წევრი, ამით ფანჯიკიძემ გააფორმა ნეპოტიზმი. ეს არის ნათესაური კავშირის პრეზენტაცია სახელმწიფო ინტერესებზე. მისმა ამ ნაბიჯმა ძალიან დიდი იმედგაცრუება გამოიწვია ჩემში“, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, მაია ფანჯიკიძის მხრიდან ყველაზე უხეში შეცდომა გადადგომა იყო. „მაია ფანჯიკიძე იყო „ქართული ოცნების“

წევრი. „ქართული ოცნებიდან“ მოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრად. როდესაც ის გადადგა, ეს იყო ყველაზე უხეში შეცდომა, რაც მან გააკეთა. განსაკუთრებით, როგორი პატივისცემა ნათესაობის მიმართ საქართველოში, მაგრამ ერთადერთი სწორი სვლა მისი მხრიდან იქნებოდა, რომ გამოსულიყო და ეთქვა — მე ვარ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი და მოვედი „ქართული ოცნებიდან“, — განაცხადა ივანიშვილმა.

ფანჯიკიძეს ჰქონდა „ქართული ოცნებაში“ საკუთარი დამსახურება, ის შრომობდა. ის ამ თანამდებობაზე არ დანიშნულა ალასათან კავშირიდან გამომდინარე, ის მე დავასახელებ, — აღნიშნა ივანიშვილმა.

მისივე განცხადებით, მაია ფანჯიკიძის და „თავისუფალი დემოკრატების“ განცხადებები ქვეყნის საგარეო კურსის შეცვლას-



ბიძინა ივანიშვილი

ხელა. ივანიშვილის აზრით, „თავისუფალი დემოკრატები“ მიხეილ სააკაშვილის დროს დაფუძნებულ ცუდ პრაქტიკას ერთი-ერთზე იმეორებენ და მათი მხრიდან ორიენტაცია ირაკლი ალასანიასზე კეთდება.

„ის ქმედებები და ნაბიჯები, რაც „თავისუფალი დემოკრატებმა“ განახორციელეს, პოლიტიკურად არაეთიკური და არაკორექტულია. ეს კიდევ რბილად ნათქვამია. მათ ბევრი უხეში პოლიტიკური ნაბიჯები გადადგეს. პირველ რიგში, მათ საზიანოდ იკვეთება, რომ ეს გუნდი ერთ კაცზეა ორიენტირებული. რაც მოდა იმედგაცრუება იყო ჩემთვის. ჩვენ ერთად ვიმართლებთ, ერთი გუნდის წევრები ვიყავით. ისინი ერთი-ერთზე იმეორებენ მიხეილ სააკაშვილის დროს დაფუძნებულ ცუდ პრაქტიკას. ორიენტაცია კეთდება ირაკლი ალასანიასზე და გუნდის

საზრუნავი ალასანია გახდა“, — განაცხადა ყოფილი პრემიერ-მინისტრმა.

ივანიშვილის შეფასებით, ირაკლი ალასანია გარკვეული პოლიტიკური სვლებისთვის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების დაკავებამდე ემზადებოდა. ამის დასტურად ივანიშვილმა დაასახელა ის, რომ გაცილებით ადრე დაიგეგმა პარტიის ყრილობა და დაანონსდა პარტიის თავმჯდომარედ ირაკლი ალასანიის დაბრუნება.

ექსპრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის თქმით, ნაციონალური მოძრაობის სურვილია, როგორმე ჩამოინგრეს და ჩამოშალოს ქვეყნის ეკონომიკა და ხელი შეეშალოს ინვესტიციების შემოსვლას.

„რატომ გაჩნდა საზოგადოებაში შფოთვა და ბევრი ეთანხმება ოპოზიციას, რომ ხელი-სუფლება არის სუსტი და უუნარო, ეს იმიტომ, რომ მონაპოვრით, რაც საზოგადოებამ მიიღო, ისევე ყოფილი მთავრობა და ოპოზიციად შერაცხილი ნაციონალური მოძრაობა სარგებლობს. ის ისევე განაგრძობს საკუთარ საზოგადოებაზე ძალადობას, რაც ამ შემთხვევაში, სიცრუით ხდება. ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ სიცრუით მოახერხონ და ქვეყანაში არ შემოვიდეს ინვესტიცია. პერმანენტულად იბრძვიან და ამბობენ, რომ ეკონომიკა ინგრევა, კრიზისია, ჩამოშალა ეკონომიკა, დაინგრა ქვეყანა. ამ დროს მსგავსი არაფერი ხდება. საუბრობენ იმის შესახებ, რომ კრიზისული გაიზარდა და თუ კრიზისილის ზრდას დაასაბუთებენ, ესეც ინვესტიციისთვის სახიფათოა. სურვილი აქვთ, როგორმე ჩამოინგრეს და ჩამოშალოს ეკონომიკა“, — აცხადებს ბიძინა ივანიშვილი.

„ოპოზიციის ნაწილი პოლიტიკა აქვს პროფესიად. მათი ვალდებულება მხოლოდ მთავრობის კრიტიკა და ლანძღვა არ არის. მათ უნდა იზრუნონ ქვეყნის განვითარებაზე. მთავრობის ოპოზიციონერობა ქვეყნის ოპოზიციონერობაში არ უნდა გადავიდეს. მათ მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ ეს მათი ქვეყანაა და უნდა ჰქონდეთ ვალდებულების განცდა, იზრუნონ ქვეყნის განვითარებაზე. შესაბამისად, მარტო გინებით, ლანძღვით და ყვირილით ეს არ კეთდება. მათ უნდა გადაადგან კონსტრუქციული ნაბიჯები, არგუმენტირებულად შემოიტანონ იმაზე უკეთესი, რასაც მთავრობა აკეთებს. რაც კარგი კეთდება, ამას მხარი უნდა დაუჭირონ და აღიარონ, რომ ეს კარგია. ქვეყნის განვითარებაში ოპოზიციას უდიდესი, ძალიან მნიშვნელოვანი როლი აქვს“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე აზრით, ოპოზიციის „ძალიან ცუდ მდგომარეობაშია“. „მე რომ ქვეყნის მტრად დამასახელებ, ან სხვას, ვისაც მსგავსი არაფერი გაუკეთებია, ეს მართლაც საოცრებაა“, — დასძინა ივანიშვილმა. ექსპრემიერ-მინისტრი იმასაც ამბობს, რომ დღეს დემოკრატიით ყველაზე კარგად ოპოზიციის სარგებლობს.

ოპოზიციის საქმიანობის შეფასების გარდა, „კვირის 20/30“-ში განხილვის კიდევ ერთ თემა ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა იყო. აღნიშნულ საკითხზე საუბრისას ივანიშვილმა წინა ხელისუფლების პირობებში ადამიანის უფლებებზე მდგომარეობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ამ თვალსაზრისით ვითარება „წულს ქვემოთ იყო და თუკი რაიმე უფლების დარღვევა შეიძლება, ყველა ირღვეოდა“. ამ კონტექსტში ივანიშვილმა ისიც განაცხადა, რომ ნაციონალური მოძრაობის პროპაგანდისტული მანქანა იმდენად კარგად მუშაობს და ქვეყნის გარეთ იმდენი არაობიექტური ინფორმაცია გადის, რომ მთავრობას უჭირს იმის ასხნა, რომ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის პროცესი მიმდინარეობს.

ბაღდატში სხვა საინტერესო თემებიც განვიხილავთ, რომელზეც მსჯელობა, ალბათ, მთელი კვირის მარაგია პრესისთვის. აბიტომაც ვამბობ, რომ მართლაც თუ არ მართლაც ივანიშვილი ქვეყანას, ერთმნიშვნელოვანი პასუხი ამ კითხვაზე არ არსებობს... ისე, ჩემი აზრით, უმჯობესია მართლაც!

თეა მუსია

ინფორმაცია

ათონელზე მდებარე რეზიდენციის გარემონტება პრეზიდენტის მოთხოვნების მიხედვით მოხდა, განაცხადა მინისტრმა სოზარ სუბარამა.

„ათონელის ქუჩაზე მდებარე რეზიდენციის რეზიდენციაში დამთავრებულია რემონტი. ის გადაეცემა ეკონომიკის სამინისტროს. რა მოხდება, ამას ვერ ვთქვით, ვინმეს ვეუბნებთ მომავალში. ერთ დროს ის იყო გადაანგეტილი. გადაწყვეტილი იყო თავად პრეზიდენტის თანხმობით. შეიძლება ითქვას, მისი მოთხოვნების მიხედვით მოხდა შენობის გარემონტება, მაგრამ დღეს რადგან

უარს ამბობს იქ გადასვლაზე, მთავრობა იმსჯელებს, მომავალში რა ბედი ელის შენობას“, — აღნიშნა სუბარამა.

საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის ირინა იმერლიშვილისთვის უცნობია, რა ფორმით შეიძლება იმსჯელოს მთავრობამ ათონელის რეზიდენციასთან დაკავშირებით.

როგორც იმერლიშვილმა განაცხადა, ის არ ფლობს ზუსტ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით ხომ არ შეცვალა პრეზიდენტმა თავისი გადაწყვეტილება ათონელის რეზიდენციაში გადასვლასთან დაკავშირებით.



# არჩევნებისთვის, გიჭეზო, სწორდით!

– ბატონო კორნელი, ევროკავშირის მხრიდან მხარდაჭერის თვალსაზრისით უდავოდ მნიშვნელოვანი იყო შედეგების, დანია და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ვიზიტი საქართველოში. თქვენ როგორ შეაფასებდით საქართველოს მეგობარი ქვეყნების მიერ თბილისში გაკეთებულ განცხადებებს? ახლა საქართველო-ევროკავშირის შორის ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი საკითხია, ექნება თუ არა საქართველოს რიგის სამიტზე წინსვლა ვიზალიზირებული პოლიტიკის მხრივ. ამ ვიზიტის შემდეგ თქვენი მოლოდინი როგორია?

– შესაძლოა, ცვლებოდეს, მაგრამ მომეჩვენა, რომ ჩვენი ევროპული მეგობარი ქვეყნების წარმომადგენელთა ვიზიტი საქართველოში ოფიციალური თბილისისათვის უფრო დამამშვიდებელ ხასიათს ატარებდა, ვიდრე რეალურად იმედის მომცემს. ტონი, რომლითაც საგარეო საქმეთა მინისტრები საუბრობდნენ, დიდად იმედის მომცემი არ იყო.

არც აქამდე მქონია რიგის სამიტისგან განსაკუთრებული მოლოდინი, მაგრამ, ჩემი აზრით, სავარაუდოდ, ამ ეტაპზე ევროკავშირი ვერ მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ვიზალიზირებული საკითხში სიცხადეს შეიტანდა. ამიტომაც ვამბობ, რომ სამი ქვეყნის საგარეო უწყებების ხელმძღვანელთა ვიზიტის მიზანი თბილისში სწორედ ის იყო, რომ ხელისუფლება და საზოგადოება შეეზადებინა, რათა ქართულ მხარეს რიგის სამიტისაგან დიდი მოლოდინები არ უნდა ჰქონდეს. მინისტრებმა ისაუბრეს იმაზე, რომ ევროპასთან მეტად დასაახლოებლად საქართველომ უნდა გადალახოს პრობლემები. საუბარია რეფორმების გაგრძელებაზე, უამრავ სხვა საკითხზე, რომლებიც მხარეებში კონსტრუქციულ და რიგ სხვა საკითხებს ეხება.

– ექსპერტი კახა გოგოლაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველო მზად არის, ჰქონდეს ევროპასთან უფრო რეჟიმი, თუმცა, ევროპაში საზოგადოებრივი აზრი ამას დიდი ენთუზიაზმით არ უყურებს. თქვენც ფიქრობთ, რომ რიგის სამიტზე პასუხი უარყოფითი იქნება, ანუ გამოდის, რომ ევროპაში საქართველოსთან დაკავშირებული პრობლემები სრულად გაცნობიერებული არ აქვთ?

– მთლად ბოლომდე ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ საქართველო ყველანაირად მზად არის, ევროპასთან ჰქონდეს უფრო რეჟიმი, მაგრამ, თუ შევადარებთ იმავე მოლოდინს, რომელიც ეს კარგა ხანია, მიიღო, საქართველო მოლოდინს ამ საკითხებში არაფრით ჩამორჩება. ევროკავშირის რომ ჰქონოდა პოლიტიკური ნება, საქართველოს თავისუფლად შეეძლო მიეღო ვიზალიზირებული პოლიტიკა. მსგავსებაში მაქვს ის, რომ როგორც მოლდოვას, ისე საქართველოსაც წინმსწრებად მიეღო ევროპასთან უფრო რეჟიმი. როგორც ვხედავთ, ევროკავშირის, სხვადასხვა მიზეზის გამო, არ სურს ამ ეტაპზე ამგვარი გადაწყვეტილების მიღება. შესაძლოა, ბევრი საკითხი უკავშირდება მიგრაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მაგრამ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბრიუსელი მხედველობაში იღებს უკრაინაში რუსეთის მოქმედებებს. ვიმეორებ – ფაქტია, რომ ამ ეტაპზე მიზეზთა გამო ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისათვის ევროპა მზად არ არის.

– ბევრი გამოთქვამს ვარაუდს, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს რიგის სამიტზე ვიზალიზირებული საკითხები იმართება. რამდენად მოსალოდინელია მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარება?

– დიას, შესაძლოა, ასეც მოხდეს, გამომდინარე იქიდან, რომ მოსახლეობაში ევროპულ მოლოდინებთან დაკავშირებით გარკვეულწილად არსებობს გადაღლილობის სინდრომი. ეს უკავშირდება იმას, რომ ნატოსთან დაახლოებასთან დაკავშირებული საკითხები გადავადდა, ყოველ შემთხვევაში ხელშეწყობის წინსვლა არ გვაქვს. ამ ეტაპზე, ერთადერთი, რაზეც იყო საზოგადოების მოლოდინი, სწორედაც რომ ვიზების ვიზალიზირებული უკავშირდებოდა. თუ საქართველოს ამ საკითხში რიგის სამიტზე წინსვლა არ ექნა, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გულაცრუებას გამოიწვევს. თუ ამას საქართველოში გააქტიურებულ რუსულ პროპაგანდასაც დაემატება, რომლის მიზანი ქვეყნის ევროპულ არჩევანთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრის გახლეჩვაა, ამის საფრთხე ნამდვილად არსებობს.

– პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გუგოს სხეტიანამ განაცხადა: „პოლონეთის მიერ თავდაცვის ბიუჯეტის გაზრდა საქართველოსთვის შესაძლოა, კარგი მაგალითი იყოს“. პოლონეთის მინისტრის ეს განცხადება თბილისში ბევრმა არასწორად გაიგო, აქაოდა, რუსეთთან ბრძოლისაკენ მოგვიწოდებსო. თქვენ როგორ აღიქვით სხეტიანის ეს განცხადება?


– ჩემი აზრით, მინისტრის ამ განცხადებაში იკითხება კონტექსტი, რომ საქართველო არ არის ნატოს წევრი და უსაფრთხოების თვალსაზრისით არავითარი გარანტიები არა აქვს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე რუსული ჯარები თბილისიდან 40 კილომეტრში დგანან და თუ პოლონეთმა გადადგა გარკვეული ნაბიჯები თავისი თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად, თავდაცვითი საპაირო სისტემების შესაძენად, საქართველოსაც სჭირდება თავისი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება. ჩემი აზრით, ბატონ სხეტიანს მინიშნება მხოლოდ ამ კუთხით იყო და არა იმ თვალსაზრისით, რომ საქართველო რუსეთს უნდა ემოსო.

– ფაქტია, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით ჩვენს სამეზობლოში ჩვენთვის არასასურველად ვითარდება პროცესები. მხედველობაში მაქვს რუსეთის მიერ ირანისათვის ს-300-ის მიწოდების პერსპექტივა. სხვათა შორის, ამ ტიპის იარაღი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კარგა ხანია, დგას. საქართველოს მიერ საპაირო თავდაცვის სისტემის შექმნა-არშექმნის თე-

მა კვლავ აქტუალურია. „თავისუფალი დემოკრატები“ საპარლამენტო კომისიის შექმნას ითხოვენ. მმართველი გუნდი უარს ეთქვამს. თავდაცვის მინისტრმა ჯანელიძემ პარლამენტში ყოფნისას კი განაცხადა, რომ მთავარია და მისი უწყებამ ამ თემაზე მუშაობენ, მაგრამ მაინც პასუხგაუცემელი დარჩა კითხვები, რა კავშირი ჰქონდა, ან საერთოდ ჰქონდა თუ არა კავშირი ე.წ. კაბელების თემას საპაირო თავდაცვის სისტემის შექმნაზე ხელისუფლების უარის თემასთან, ანაც უკავშირდება თუ არა მინისტრობიდან ალასანიას განთავისუფლება ამ უკანასკნელის სურვილს, საქართველოს ჰქონოდა საპაირო თავდაცვის სისტემა. ამ თემებზე როგორია თქვენი აზრი?

– ჩემი აზრით, ეს ის საკითხია, რომელიც არ უნდა იქცეს პოლიტიზირების თემად. როგორც ალასანია აცხადებს, ხელისუფლების დიდი ნაწილი არ იყო მზად, მიეღო გადაწყვეტილება თავდაცვის საპაირო სისტემების შექმნასთან დაკავშირებით. ფაქტია, რომ მათაც ექნებათ არგუმენტები. რა თქმა უნდა, საქართველოს მსგავს ქვეყანას თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად სჭირდება ამგვარი სისტემა, მაგრამ, უნდა ვიცოდეთ, რომ იგი საკმაოდ ძვირად ღირებული სისტემაა. მისი ფასი არავინ იცის, მაგრამ, ფაქტია, რომ მისი შექმნა ქვეყნის ბი-

**„პროკული ქაყნების ნარკოპოლიტიკაში უფრო დააბრუნდეს ხასიათს ატარებს“**



**საგარეო და საშინაო პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებზე „ინტერპრესნიუსი“ თსუ-ს პროფესორს კორნელი კაპაჩიას ესაუბრა.**

უჯეტს მძიმე ტვირთად დაანებდა.

ჩემი აზრით, ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა საზოგადოების მეტი ჩართულობა. საზოგადოებამ უნდა იცოდეს რამდენად სჭირდება ქვეყანას ამ ტიპის იარაღი და სჭირდება თუ არა საერთოდ. შესაძლოა, ამ საკითხზე მსჯელობისას ხელისუფლებისათვის დიდი იყო ის, რომ ჩვენს მიერ მისი შექმნის შემთხვევაში საქართველო შეიძლება ამოიწმინდეს ჩართული გამაღებულ შეიარაღებაში იმავ რუსეთთან მიმართებაში. მისი ქონის შემთხვევაში ჩვენი საპაირო სივრცე, რა თქმა უნდა, უფრო დაცული იქნება, მაგრამ ამან შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ მასზე რუსეთს ექნება გარკვეული რეაქცია, რომ კიდევ უფრო გააძლიეროს თავისი სამხედრო ბაზები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში. გარდა ამისა, ვფიქრობ, ამ საკითხში ხელისუფლების სიფრთხილე ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს იმას, რომ ყარაბაღის გამო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაპირისპირებები დრო და დრო ხდება, სამხრეთ კავკასია ისედაც კარგა ხანია, დენთის კასრს ჰგავს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო გულზე ხელები უნდა დაიკრიფოს და არაფერი არ უნდა გააკეთოს. ეს საკმაოდ სერიოზული საკითხია და მასზე უნდა იმსჯელოს უშიშროებისა და უსაფრთხოების საბჭოებმა და გადაწყვეტილება, კონსენსუსის საფუძველზე, იმის გათვალისწინებით უნდა იქნას მიღებული, თუ რა სჭირდება ქვეყანას.

– თბილისში ყოფნისას დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარტინ ლიდგორმა განაცხადა: „ჩვენ ვიბრძობებით, რომ ოკუპაცია არ დაეკანონდეს“. არადა, რამდენიც არ უნდა ისაუბრონ ჩვენთან იმაზე, რომ კრემლი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართულებით ანექსიისკენ ნაბიჯებს დგამს, რუსეთი პრაქტიკულად ასრულებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ანექსიის პროცესს. 14 აპრილს სოჭში ხელი მოეწერა შეთანხმება მოსკოვსა და სოხუმს შორის, რომლის თანახმადაც აფხაზეთის 9, 3 ათასი ჩინოვნიკი და 32 ათასი რუსეთის მოქალაქე პენსიონერი ეტაპობრივად იმდენივე ხელფასსა და პენსიას მიიღებენ, როგორცაა – რუსეთის ფედერაციის სამხრეთ ფედერალური ოლქის მცხოვრებლები, ანუ ვითარებაში, როცა პრაქტიკულად მოსკოვი იკანონებს ოკუპაციას, ჩვენცა და ჩვენი პარტნიორი ქვეყნები იმაზე საუბრობენ, რომ ოკუპაციას არაღიარებით შევბრძოლებინ. რჩება შთაბეჭდილება, რომ როგორც ჩვენი, ისე ჩვენი ევროპელი პარტნიორების შეფასებები და რეაქციები არაადეკვატური...

**სოციოლოგიური კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, „თავისუფალ დემოკრატებს“ აქვთ შანსი მიუხრობელი ამომრჩევლის მოსაზრებად. ამას სჭირდება ძალიან ბევრი ენერჯია და რამდენად მოახერხებენ ამას „თავისუფალი დემოკრატები“ მარტო, ეს კიდევ გასარკვევია. თუ ბურჟანაძე და „პატრიოტთა კავშირი“ შეძლებენ გაერთიანებას, მათაც ექნებათ შანსი მეტ-ნაკლები წარმატებით შევიდნენ პარლამენტში. დანარჩენი ოპოზიციური სექტორი პოლიტიკურ ასპარეზზე კი ჩანს, მაგრამ ფაქტია, რომ ჯერჯერობით არც ერთი მათგანი მხარდაჭერა სიმრავლით არ გამოიჩინებენ.**

– სამწუხაროდ, ეს პრობლემა არაახალია. სამწუხაროდ, საქართველოს არსებული სტატუს-კვოს შეცვლა არც მარტო და არც სხვებთან, თანამეგობრობასთან ერთად არ შეუძლია, მითუმეტეს იმის ფონზე, თუ რა ხდება უკრაინაში. აქედან გამომდინარე, ახლა ერთადერთი გამოსავალი არის ის, რომ საქართველომ გააძლიეროს მუშაობა როგორც საერთაშორისო თანამეგობრობასთან და იმავე სოხუმისა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებებთან. საერთაშორისო ორგანიზაციების დღის წესრიგში ეს თემები მუდმივად უნდა იყოს და ყუბადაღებული სტრატეგიული მოთხოვნის ფარგლებში შევეცადოთ შევავლოთ ჩვენი პოზიცია საერთაშორისო თანამეგობრობასთან. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, სხვა ალტერნატივა არცა გვაქვს. იმის გამო, რომ რუსეთთან მიმართებაში არც დასავლეთს არა აქვს მასზე ზემოქმედების სხვა ბერკეტები, გარდა იმისა, რომელსაც იყენებს. ალბათ, ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარება კარგა ხანს გაგრძელდება.

– უკვე ცნობილია, რომ მომავალი სასწავლო წლიდან გალის ქართულ სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე აღარ იქნება. ამ თემაზე ბევრი კი ითქვა, მაგრამ ნაკლები იმაზე, თუ რა ნაბიჯები შეიძლება გადადგას ქართულმა მხარემ, რომ გალის რაიონში ქართულ ბავშვებს მშობლიურ ენაზე სწავლის უფლება შეუნარჩუნდეს... – აფხაზეთში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ სოხუმის რეჟიმის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ მკვეთრად გამოხატული აპარტიდის სახე მიიღო. ქართულმა მხარემ გალის რაიონში მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხი აუცილებლად უნდა დააყენოს საერთაშორისო ორგანიზაციებში და მე დარწმუნებული ვარ, ეს უკვე კეთდება იმავე აფხაზეთთან ურთიერთობაში. ეს საკითხი საქართველოსთვის გახლავთ ყველაზე მტკივნეული გამოძინარე იქიდან, რომ, თუ ის პოლიტიკა, რომელიც ახლა სოხუმში და მოსკოვი გალის რაიონში ატარებენ, გაგრძელდა და მათ მოახერხეს გალის რაიონიდან ქართული ენის განდევნა, ეს იქნება ნაბიჯი გადადგმული იმისკენ, რომ ეს რაიონი საქართველოს საბოლოოდ მოსწყვიტონ. ჩვენ იქ მცხოვრებ მოსახლეობას ყოველწლიურად უნდა შეუწყობდეს ხელი, რომ მიგანოდოთ ლიტერატურა, ანაც შევთავაზოთ განათლების ალტერნატიული ცენტრები. შესაძლოა, ღირდეს იმაზე ფიქრი, რომ ამ თვალსაზრისით შესაძლებელია ინტერნეტის გამოყენება.

– როგორ შეაფასებდით პოლიტიკურ ასპარეზზე ნაციონალისტებისა და დანარჩენი ოპოზიციის აქტიურობას?

– ნაციონალისტებმა კარგა ხანის წინათ დაიწყეს 2016 წლის არჩევნებისთვის მზადება. მათ იცნან, რომ მხარდაჭერა, რომელიც ახლა მათ საზოგადოებაში აქვთ, არ არის იმის გარანტი, ანუ საკმარისი არ არის, რომ ისინი ხელისუფლებაში დაბრუნდნენ. ამიტომ, ისინი საკუთარი ამომრჩევლის გაზრდას ცდილობენ. ჩემი ვარაუდით, ისინი ალბათ, ელოდებიან ხელისუფლების მიერ შეცდომების დაშვებას. პოლიტიკური ცხოვრების ტემპერატურის აწევაზე მნიშვნელოვნად იმოქმედებს არჩევნების მოახლოება. ასევე მნიშვნელოვანი იქნება, თუ როგორ ჩამოყალიბდება არჩევნებში მონაწილე ფავორიტ პარტიათა კონფიგურაცია. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ ნაციონალისტები პარტიებიდან კომუნიკაციას და მათთან გაუცხოების მომენტის მოხსნას. ახლა შეიმჩნევა, რომ სხვა პარტიებს არ სურთ მათთან ურთიერთობების დამყარება. ეს მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში მათთან „თავისუფალი დემოკრატები“ თემატურად თანამშრომლობენ კიდევ.

– რაც შეეხება დანარჩენი ოპოზიციას. სოციოლოგიური კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, „თავისუფალ დემოკრატებს“ აქვთ შანსი მიუხრობელი ამომრჩევლის მოსაზრებად. ამას სჭირდება ძალიან ბევრი ენერჯია და რამდენად მოახერხებენ ამას „თავისუფალი დემოკრატები“ მარტო, ეს კიდევ გასარკვევია. თუ ბურჟანაძე და „პატრიოტთა კავშირი“ შეძლებენ გაერთიანებას, მათაც ექნებათ შანსი მეტ-ნაკლები წარმატებით შევიდნენ პარლამენტში. დანარჩენი ოპოზიციური სექტორი პოლიტიკურ ასპარეზზე კი ჩანს, მაგრამ ფაქტია, რომ ჯერჯერობით არც ერთი მათგანი მხარდაჭერა სიმრავლით არ გამოიჩინებენ.

სხვათა შორის, შემდეგ არჩევნებზე მნიშვნელოვნად იმოქმედებს, თუ რა პოზიციას დაიკავებენ და მიიღებენ თუ არა არჩევნებში მონაწილეობას ე.წ. გამსვლელი პაიკები, მაგალითად ლევან ვასაძე და მისი მსგავსი ადამიანები. ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება თავად ბიძინა ივანიშვილის პოზიციას, ანუ იმას, თუ რამდენად აქტიურად დაუჭერს იგი მხარს „ქართულ ოცნებას“ და რამდენად აქტიურად ჩაერთვება საარჩევნო კამპანიაში. შესაძლოა, არჩევნების შედეგები ბევრ ფაქტორს დაუკავშირდება, უფრო პიროვნებს და არა პარტიებს და ვიდრე ზოგადად სხვა რაიმე გარემოებებს.



# „ქოლერიული ნება და ჭკუა – რისხვა თიმურის“

## წინათქმა

145 წლის წინათ, 1870 წლის 21 აპრილს სასკოლო ინსპექტორის ილია ულიანოვის ოჯახში დაიბადა ვაჟი ვლადიმერი, რომელიც ორი ბოლოსწინა საუკუნის უღელტეხილზე ქვეყანას მოეწვინა რევოლუციონერად და მის მიერ შექმნილი იმპერია კი თითქმის აქამდე მას ყველაზე დიდ რუს მოღვაწედ მოიხსენიებს. არადა, ძნელი ასახსნელია თუნდაც ის, რომ ყველაფრის მიმტაცებელ-დამსაკუთრებელი ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი რატომ თვლის ლენინს რუსად, როდესაც მამამისი, მართალია, ქრისტიანულად მოიხსენიებდა, მაგრამ რუსი კი არა, ჩუგუზია, სოლო დედა – გერმანელი ებრაელი.

რატომ დაინტერესდა მწერალი გრიგოლ რობაქიძე ამ პიროვნებით ისევე, როგორც შემდგომ პიტლერიტა და მუსოლინი?

„გაგვიგე, მანდ ჰგონიათ, თითქოს მე პიტლერიანი ვყოფილიყავი... მე რომ პიტლერიანი ვყოფილიყავი, მაშინ არ ვიქნებოდი გესტაპოს ზვერვის ქვეშ მოქცეული 1941 წლის ივნისის შუა რიცხვებიდან ომის ბოლომდე“, – სწერდა 1962 წლის აპრილში საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ირაკლი აბაშიძეს გრიგოლ რობაქიძე, რადგან საბჭოთა კავშირში პიტლერისა და მუსოლინის მესობებდ თვლიდნენ, ფაშისტურ გერმანიაში კი უნდობლობას ლენინისადმი მიძღვნილი წიგნისათვის უტყბადებდნენ.

არადა, როგორც ამერიკელი მკვლევარი ლეონარდო ფიქსი აღნიშნავდა, სამივე ზემოაღნიშნულ შემთხვევაში „გრიგოლ რობაქიძის ატყვევება არა თავად რომელიმე ზემოსხენებული პერსონაჟი, არამედ „გმირის“ ისეთი ცნება, როგორცაა ეს ასახულია მათი ხალხების მითოლოგიასა და თანამედროვე ხანაში. ამ ინტერესმა მიიყვანა იგი პიტლერისა და მუსოლინის შესწავლამდე და მათ განიხილავდა არა პოლიტიკური, არამედ მითოლოგიური თვალსაზრისით“ – სწორედ ამ პოზიტიდან ექვსი დიდი მწერალი ლენინში გერმანელ-

ბის, სოლო მუსოლინი – იტალიელების მითოლოგიურ სანყისებს, რადგან ეს ყველაფერი იმ შემოქმედებით „სან-ვადად“ ესაჭიროებოდა, რომელიც შეაძლებინებდა, ამოეცნო ქართული ჯიშის, ქართული რასის უღრმეს პლასტებში ჩაშვებული ფესვები. ეს განსაკუთრებით თვალნათლივ არის წარმოჩენილი კალისტრატე სალიასთან მის საუბარში, რომელიც სტალინის გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე – 1953 წლის 25 თებერვალს შედგა და თავისი ხასიათით წინასწარმეტყველური.

„დამისახელებთ თუ გინდ ერთი პიროვნება, რომელიც თავისუფალი იყვის საბჭოეთში არა მარტო არაბოლშევიკურ, არამედ ბოლშევიკურ წრეებშიაც, ერთს ვერ დამისახელებთ. – მიმართავს გრიგოლ რობაქიძე ინტერვიუერს. – მოლოტოვი შეიძლება უფრო ძრწის იქ, ვიდრე უბრალო მოქალაქე. ერთად-ერთი გამოკლება არის მხოლოდ სტალინი, მაგრამ ის სოსო ჯულაშვილი კი არ არის, არამედ პიროვნული განსახიერებაა იმ უპიროვნო ძალთა დენაში, რომელთაც წარმოშვეს ბოლშევიზმი. მისი სიძლიერე სწორედ იმაშია, უნდა ვთქვა, უფრო მძიმე, ვიდრე ლენინისა, რომ მან შეძლო გადახტილება უბრძოლველად დენაში. საკმაოა ერთი წუთით ამოვარდეს იგი ამ ხტილითგან, რომ კვლავ სოსო ჯულაშვილათ იქცეს, რომელსაც იმგვარადვე მოიცლიებს ის უპიროვნო ძალა, როგორც სტალინიმა მოიცლია მისი მონიანადმდეგენი... საბჭოეთში ბატონობს ვინმე, რომელიც არავინაა. სახელი მისი არის ლევიათან. აი, შედეგი, როცა დემონურ ძალბთან შეგუებაში დათმობის გზას იჩვენებს“ (მწერლის სტილი დაცულია. რედ.).

თუ მკითხველი გაიხსენებს, რა პოზიცია ჰქონდა სტალინს საქართველოს ისტორიული განძისადმი და რა კონკრეტული როლი შეასრულა მის დაბრუნებაში, თუ გაიხსენებს იმასაც, რა კეთილმოდა ტაო-კლარჯეთის შემოსაერთებლად, აგრეთვე ზოგიერთ სხვა ისეთ მომენტს, რომელიც მის ისტორიულ სამშობლოს სამომავლოდ წაადგებოდა, ძნელი გასაგები არ არის, ზემოსხენებულმა

„უპიროვნო ძალამ“ რატომ მოიშორა იგი, როგორც კი იეჭვიანა, რომ სტალინი შეიძლებოდა კვლავ იმ სოსო ჯულაშვილად ქცეულიყო, რომელიც ყმანვილკაცობისას ნატრობდა: „აყვავდი ტურფა ქვეყანა, ილხინე ივერთ მხარეო“... თუმცა, ეს საკითხის სულ სხვა მხარეა, რომელიც გაცილებით ღრმა ანალიზსა და დასაბუთებას მოითხოვს. ამიტომ დაგუბრუნდეთ ისევე გრიგოლ რობაქიძის ნარეკვეს ლენინზე. აღსანიშნავია, რომ ეს ინტერვიუ, თავდაპირველად 1953 წელს კალისტრატე სალიას ჟურნალ „ბედი ქართლისაში“ გამოქვეყნდა, 51 წლის შემდეგ კი იგი მიუხედავად გამოცემულ გრიგოლ რობაქიძისადმი მიძღვნილ კრებულში გადაბეჭდა ცნობილმა ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ, ქართული ემიგრაციის მეორე თაობის ერთ-ერთმა თავკაცმა კარლო ინსარიძემ. აი, რას ამბობს ამ საუბრისას გრიგოლ რობაქიძე: „თებერვლის რევოლუცია გამოვიდა დღენაკლული, ვინაიდან კერენსკებმა ვერ შეძლეს „მეფის მითოსი“ შეენაცვლებინათ სხვა მითოსით, ახალით (1918 წელს შეგხვდი კერენსკის, გაავრთხილე სწორედ „მეფის“ საკითხში... ამის შესახებ ერთს ჩემს გამოუქვეყნებელ წიგნში). დამარცხდა „უსისხლო“ თებერვალი, გამარჯვა „სისხლიანმა“ ოქტომბერმა. გაიმარჯვა, რადგან ლენინმა წამოაყენა დამსობილი „მეფის მითოსის“ ალაგას „სხვა მითოსი“ და მითოსი ყოველგვარი გარდატეხისას არა თუ მნიშვნელოვანი, გადამწყვეტია“. ახლა თვითონ წარმოებს მიგუბრუნდეთ. ლენინს ჰქონდაო „პიტლერიული ნება და ჭკუა – რისხვა თიმურის“; „მას ახასიათებს სიცხე ჰანნიბალის და რისხვა თიმურის“; „ლენინი სასტიკია და ნებიანი“; „მასში უთუოდ არის რასიული გაქანება მონგრეული მონღოლეთის“...

მაშ, ასე გასაგები უკვე მორგებულია და მკითხველს არ გაუჭირდება, გაიგნოს გზა დიდი ქართველი მწერლის „სანვაგი მორის“ სამი „ნაპოზიდან“ იმ ერთისაკენ, რომელსაც ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვ-ლენინი შეეცია. **ალექსანდრე შენაველია.**

## პ. ი. ულიანოვ-ლენინი

ლ.დ ტროცკი წერდა: მარქს რომ არ მოხდინა არც ერთი რევოლუციური აქტი და შთაბრძნავლობისათვის მარტო „კაპიტალი“ დაეტოვებინა, მაინც მარქსი იქნებოდა, დიდი ისტორიული პიროვნება. ლენინს რომ არ დაეწერა არც ერთი სტრიქონი და დაეტოვებინა კაცობრიობისათვის მარტო რევოლუციური მოქმედება, მაინც ლენინი იქნებოდა, დიდი ისტორიული პიროვნება.

ამ სიტყვებში ნამდვილი გაგება: მარქსი მოაზროვნე და ლენინი მოქმედი, ორივე დიდი ექვივალენტობით. სინამდვილეში კი მარქსიც მოქმედებდა და ლენინიც წერდა. მართალია, მარქსის ნაწერი უფრო დიდია, ვიდრე მისი მოქმედება, სოლო ასეთი პროპორციით ვერ ვიტყვი, თითქოს ლენინის ნაწერი უფრო ნაკლები იყოს, ვიდრე მისი მოქმედება. უფრო მართებულ იქნება, ვთქვათ, რომ ლენინის „მწერლობა“ იგივე მოქმედებაა.

აქ არის ლენინის საოცრება, როგორც ისტორიული მოვლენის. ასეთი მთლიანი პიროვნება ბოლო ხანებში არ იცის. ევროპის ეპოქალური ტიპი ჰამლეტია. ჰამლეტობა ევროპაში თითქმის ყველა ისტორიულ პიროვნებას ახასიათებს. ლენინი ამ მხრივ პირველია ევროპის ერაში, საიდანაც იწყება სრულიად ახალი ტიხილი: ჰამლეტის ანტიპოდი – პიროვნება, როგორც განუცვეთელი ალი. ლენინის ფენომენზე ტომები დაიწერება. საოცარია მასში იდეალი ინტერნაციონალური და ბუნება ნაციონალური, ორივე ნაკადულის შესხეულებით. ხშირად მას პეტრე დიდს ადარებენ. ამ შედარებაში მართალია ორივეს „რუსობა“ (არა და არც ერთი არ იყო რუსი,ეს სიტყვა ავტორს შემთხვევით როდი აქვს ჩასმული ბრჭყალებში! რედ), მაგრამ გადალახვით ლენინი ბევრად უფრო იდია.

ლენინში მოცემულია მთელი რუსეთის „საშო“, აქ არის რუსეთის ველი, რომლის უკიდურობა სივრცის შიშს ბადებს. აქ არის გიჟური მოხეცვა მღვდელ ქაოსის, რომლის გუჟური ქვესკვლავი ტიუტჩევმა გაიგონა. აქ არის ნგრევის რიტმების



აგორება, რომელსაც თან გადაჰყვასკრიბინი. აქ არის სლავეური შეტევა სამყაროს მიმართ.

მაგრამ ლენინს კიდევ სხვა რამ ახასიათებს. რუსეთის „საშო“ რბილია და უნებო, ლენინი სასტიკია და ნებიანი. ლენინი ნებაა თვითონ, როგორც ხალხის რკინა. მასში უთუოდ არის რასიული გაქანება მონგრეული მონღოლეთის. მონღოლი ჯერ კიდევ გამოუცნობია. აქ საკმარისია მხოლოდ იმის თქმა, რომ რაინდული გავარდნა მონღოლისა კეთილშობილურია თავის სისასტიკეში. სლავეების უცნაურ არეში, როცა სული მარტო კატასტროფას ელის, ასეთი გავარდნა ფენომენალურ ფაქტად უნდა მოვლენილიყო. ეს ფაქტი ლენინია თვითონ. სწორედ აქ არის იგი მეტი პეტრე დიდზე. ლენინის გადალახვამ არ იცის საზღვარი.

ლენინის ნებისყოფას და ნაპოლეონის ნებისყოფას ადარებენ, მაგრამ ერთი პოეტის სიტყვით, ნაპოლეონის ნება იყო ქოლერიული, ჭკუა კი მელანქოლიური. ლენინის ქოლერიული ნებას კიდევ უფრო ახელებს ქოლერიული ჭკუა. ამიტომაც ლენინი მარტო ცეცხლი და მარტო წვა. ახალს ისტორიაში ასეთი ცეცხლი არავის არ ჰქონია. აქ არის სიცხე ჰანნიბალის და რისხვა თიმურის. ნების პრიმატი! ეს ხაზი ტროცკის

სიტყვებიდანაც სჩანს. მაგრამ ეს პრიმატობა არ უნდა იყოს ინტელექტის პირისპირი. აქ არის ლენინის ფენომენალობა. რასაკვირველია, შესაძლოა – სხვას ოთხი უნივერსიტეტი ჰქონდეს გათავებული და ცამეტი ფაკულტეტი, შესაძლოა – ათასი სხვადასხვა პრობლემები წამოეყენებოს და გასაოცარი ორგინალობითაც გადაეჭრას. ასეთს ინტელექტზე აქ არ მაქვს ლაპარაკი. მე მაქვს სახეში ინტელექტი, რომელიც „ფაქტშია“ მოცემული. „ფაქტში“ ანტიური გაგებით. ლენინში უთუოდ არის „ბედი“ თუ გინდ იმ გაგებით, რომელიც ბოლო ხანებში ოსვალდ შპენგლერმა წამოაყენა. აქედან მომდინარეობს ლენინის დიდი ინსტიქტი, ყოველის წამსავე გაგება, ტომებისა და ტრაქტატების გარეშე. აქედან გამოდის მისი სწორი და უტყუარი თვალ გაზომვაში. აქედანვე – მისი რევოლუციური მიმართება და ტაქტი.

ლენინი ყველაზე დიდი რევოლუციონერი. ამ მხრით მან არ იცის ტოლი. ნუ შეგვეშინდება გაბედული თქმის. ევროპაში რევოლუცია უფრო მატერიალურ სიკეთეთა „გადაღებაა“, რუსეთში რევოლუცია სამყაროს პრობლემად გადაქცეული. ყოველ შემთხვევაში პათოსით და რომანტიკით. ეს პათოსი და ეს რომანტიკა

შექმნა ლენინმა. „რომანტიკა“ – არა როგორც სისხლნაკლულობა და „ოცნებობა“, რასაკვირველია. კიდევ მეტი. ლენინის სახით მოცემულია ახალი რასის რევოლუციონერის. აქ ნება და ინტელექტი ერთი და იგივეა.

ცხადია აქედან, რომ „მარქსიზმთან“ ერთად „ლენინიზმი“ შეიქმნა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ „ლენინიზმი“ ახალი სწავლაა „მარქსიზმთან“ შედარებით. მასზე ალბად ტომებს დასწერენ.

ლენინი ბედა და მაშასადამე გაბედული. ასეთი „გაბედვა“ სამყაროს მიმართ არ ჰქონია არავის. ასეთი რისხვა არ მოვლენია ჯერ კაპიტალისტურ სისტემას. თვითონ სახელი მისი – „ულიანოვ-ლენინ“ მოდის ისე როგორც ურგანი. ლენინში არ არის ის, რაც გულგრილობას იწვევს. ის მოცემულია როგორც ძელქვის კორძი, უტყვი და უკვეთელი. ის სასტიკია როგორც მოქნეული ხმალი. მაგრამ „სასტიკია ყოველი შემოქმედი“ (ნიცშე). „პირადული“ წარეცხილია თითქო მასში. მასში მოსჩანს „უპიროვნო“ სახე თვითონ ისტორიისა, ამისთვის არის იგი საოცარი და საშიშარი. ასეთია „ფაქტში“ თვითონ. ამაშია მისი ძლევა.

სიტყვის გაგრძელება შეიძლება, მაგრამ საჭირო არაა... ვისაც განუტყვია, თუ არის: მონობა-ჩაგვრა-სიმშობილად-ბეჩავება-წამება, მას არ შეუძლია, არ მიიღოს რევოლუცია. ვისაც განუტყვია, თუ არის: თავისუფლება-მონობის მოსპობა-ადამიანის ღირსების აღდგენა-ქვეყნის გადახალისება-ერთა თვითდამყარება, მას არ შეუძლია, არ ახსენოს სახელი ლენინის, განუწრეველად პარტიული დაყოფის და პროგრამებისა.

როცა რადიომიმღებმა ლენინის სიკვდილი მსოფლიოს აცნობა, ალბათ ჰაერში მისი ტალღა სხვანაირად დაიკლავნა. მე არა მგონია არსებობდეს ისეთი ადამიანი, რომელიც ლენინის სიკვდილით არ შერხეულიყოს.

**ბრიგოლ რობაქიძე**





გაზარდადული მოქალაქის გულისთქვა

ეპტ ყოველდღიურ უპრადლებას ვითხოვთ!

მოგვართავთ თქვენ ბატონო პრაიმერ-მინისტრო, უკვე დამეკარგა სათვალავი... უკვე მერამდენედ ჩემს პირველ მომართვაში გამოვხატავდი სიხარულს (ბუნებრივია ობიექტურს), რომ მყავს ახალგაზრდა, განათლებული და ენერგიული პრემიერ-მინისტრი (ჩემთვის ბატონ ივანიშვილის არჩევანი ნდობის ფაქტორი იყო), აქვე მიგანიშნებდით, რომ ახალგაზრდობა პრივილეგია არ არის, ახალგაზრდობა არის შანსი, ემსახურო თავდაუზოგავად შენს ხალხს, მით უმეტეს თუ ხარ ქვეყნის პირველი პირი და ამით მოიპოვო ხალხის სიყვარული და პატივისცემა, რის შედეგადაც გახდები პრივილეგირებული ადამიანი, ემსახურო შენს ხალხსა და შენს ქვეყანაში. რა არის დღეს? ყველაფერი პირიქით მივიღეთ, იგივე სააკაშვილი, ერთი განსხვავებით, ქუჩაში არ ხდებოდა ჯიშინი ახალგაზრდების უმოწყალო ხოცვა, სხვაფერად და სხვა მეთოდებით არანაკლები დანაშაულებები ხდებოდა - სრული განუკითხაობა, სრული ვაკუუმი, უმაღლეს დონეზე სრული დაუსჯელობა, რა ჩამოთვლის ნებასცემს. სცადეთ, ერთი მაინც პოზიტივი დაასახელოთ, სამარცხვინო ჯინიანობა პრეზიდენტთან, ზიზისა და სიძულვილის ერთი ლაპარაკი და ქმედება, მიტაცებები ყველაფრის, რისი მიტაცებაც შეიძლება. მაღალი რანგის საერთაშორისო და შიდა ტრიბუნლები გამხდარია ფუჭი და ცრუ რიტორიკის საშუალებად... 47 წლიან სტაჟს შრომის წიგნაკში ქრთამით ვერ ჩანერ, 47 წელი უკვე ნიშნავს, რომ ამ სტაჟის მატარებელი მეზოვეც კი ქვეყნის პატივსაცემი პიროვნებაა და მით უმეტეს თუ ეს წლები შეგნებული შრომაში გაქვს გატარებული.

84 წლის კაცი ვარ, ჩემი სრული სავიზიტო ბარათი თქვენთან და ყველა სახელმწიფო ორგანიზაციაში დევს (გარდა დამსახურებისა), ჯანმრთელობის სრული მონაცემებიც დევს თქვენთან. როგორ შეიძლება ვიყო ლოიალური, როცა თქვენთვის მილიონები ჯიბის ფულია, ჩემი ვალი კი რაც თქვენ გაქვთ ჩემს მიმართ, ჩემთვის მხოლოდ რამდენიმე დღის სიცოცხლის გარანტიაა, არა და თქვენ, თქვენი მენტალიტეტით ვერასოდეს მიიღწევთ საქმიანობის იმ შედეგს, რაც მე მივითვლი ამ 47 წლის მანძილზე. ისე, კაცმა რომ თქვას, თქვენ ჯერ კიდევ მრავალი წელი გჭირდებათ, რათა ასაკით მიიღწიოთ ჩემი შრომის სტაჟს.

ვინ გყავთ კმაყოფილი, გარდა იმ ჩინოვნიკებისა, ვისაც დანაშაულებრივად, ყოველგვარი ნორმის დაცვის გარეშე მოუმატეთ ხელფასები. ერთი მაგალითი მინდა, მოვიყვანო: როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მიიღო, საქართველო მთელ კავშირში განათლებით პირველ ადგილზე და ერთ-ერთი აყვავებული ქვეყანა იყო, თურქეთი კი უბრალოდ ჩამორჩენილი ქვეყანა. დღეს საქართველო მსოფლიოში ყველაზე გაუნათლებელი და გაუბეჭდვრებული ქვეყანაა, თურქეთი კი აბა თუ შეგიძლიათ, შეაფასოთ, რა დონეზეა ასული განვითარების მხრივ.

რა გახდა, საქართველოში ყველა შემდეგი ხელისუფლება დამოუკიდებლობის შემდეგ სულ უარესი და უარესი მოდის, მაშინ როცა ქვეყანა გაქმედილია განათლებული, ინტელექტუალური, პატიოსანი ადამიანებით.

დღეს საქართველოში ყველის სახელისუფლო ყაჩაღობა. ეს არ არის ეკონომიკური ყაჩაღობა, ეს არის ხელისუფლების სულიერი მოთხოვნილება (მენტალიტეტი). ვერა და ვერ დაესვა წერტილი ისედაც ასტრონომიული ხელფასების პირობებში ჩინოვნიკებისათვის ხელფასების ყოველწლიურ ზრდას. ხალხი კი, ნაგვის ურნებში მძრომიან და პირველადი მშობიარე მშვიერ-მწყურვალი გმინავს. და ვუშვავთ, ქვეყანაში თქვენს ზემოთ აღარავინ არსებობს, რომ მასთან გიჩივლო, მაგრამ ნუთუ არ გეშინიათ ბოლოს და ბოლოს ამ ხალხის რისხვისა, ან ნუთუ ღმერთის მაინც არ გეშინიათ?

თუკი შესაძლებელი გახდა, რომ ბატონ ბ. ივანიშვილს კანონის ძალით დაებრუნებინათ თავისი კუთვნილი 80 მილიონი, დამნაშავე სააკაშვილის მიერ უკანონოდ წართმეული, რატომ ჩვენ, უბრალო ადამიანები, ვერ ვპოულობთ ასეთივე სამართალს?

ისევე ჩემი საკითხი. როცა მე 1992 წლის გამოშვების ობლიგაციები შევიძინე (მაშინ ამ თანხით სამოთხიანი ბინის ყიდვა შემეძლო), ეს ფული პირდაპირ ხაზინაში წავიდა. არ არსებობს რანგი ჩინოვნიკისა, ვისაც ხაზინაში ხელის ფათური ხელწიფება გარდა, პირველი ხელისუფალისა. სად წავიდა ის ფული? მართო თქვენი ჩინოვნიკების კეთილდღეობაზე ხალხს, პენსიონერებს და უბრალოდ მოსამსახურებელს სამი თითის კომპინაცია.

65 წლის ზევით ადამიანისათვის არავითარი ღირსება და პატივი არ არსებობს. სკრინინგ ცენტრში მას არ მიესვენება, ნებისმიერი სამედიცინო პროგრამაში მათ არავინ ღებულობს, საკუთარი სურვილით სამკურნალოდ წასასვლელად სამეზავრო ლუდის არავინ მიჰყიდის იმპორტ, რომ სამეზავრო დაზღვევას არავინ მისცემს. ბანკი სესხს არ მისცემს თუნდაც იპოთეკით დატვირთოს საკუთარი ათმაგი ღირებულების ქონება. ქუჩასა და ტრანსპორტში ხომ სრული დაცინვა და უპატივცემულობა, ვერ ამოვწერავ ნეგატივს თქვენი შესრულებით, ნუთუ თქვენ არ ფიქრობთ 50 წელზე მეტ ხანს ცხოვრებას? ასეთი საზოგადოებრივი ნორმებითა და კანონებით, როგორსაც თქვენ ქმნით, ეს შეუძლებელია, როცა ეს ელემენტარული ტყუილობა ვერ გაგიტავისებიათ როგორ გრძნობთ თავს საგარეოში მშვიდად?

ძარტლონ ზაპარაიშვილი

SIC!

„ვისი ვიოლინო ვის როიალშია?“

უფატი და სუბიექტური კომენტარი ზურაბ ადეიშვილთან დაკავშირებით

ანალიტიკოსი სიმონ კილაქაი face-book-გვერდზე ზურაბ ადეიშვილის ინტერპოლის მიერ ძებნილობა სიიდან ამოღებას ეხმაურება და წერს:

„უფატი (ამონარიდი საქ. პროკურატურის განცხადებიდან): ინტერპოლის გენერალურმა სამდივნომ დაადგინა შემდეგი: ზურაბ ადეიშვილს ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა 2013 წლის 8 თებერვალს; ზურაბ ადეიშვილისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების ფაქტი დადასტურებულ იქნა სტატუსის მიმნიჭებელი სახელმწიფოს მიერ; შესაბამისად, ახალი რეგულაციების მხედველობაში მიღებით ინტერპოლის გენერალურმა სამდივნომ ზურაბ ადეიშვილის მიმართ გააუქმა ნითელი ცირკულარით მოცხადებული საერთაშორისო ძებნა.“

კომენტარი: როგორც ვხედავთ, ზურაბ ადეიშვილს, საქართველოს მოქალაქეს, ლტოლვილის სტატუსი მინიჭებული ჰქონია თითქმის ორი წლის წინ და ეს საქართველოს ხელისუფლებამ არ იცოდა? იცოდა, მაგრამ ფეხებზე დაიკიდა, არ დაინტერესებულა, რომელმა ქვეყანამ რატომ ალიარა ლტოლვილად ყოფილი გენპროკურორი და იუსტიციის მინისტრი (მე მგონი, ასეთი მეორე შემთხვევა მსოფლიოში არ არსებობს). თუ არ იცოდა, მით უარესი. გამოდის, რომ ეს მნიშვნელოვანი რეზონანსული საკითხი უყურადღებოდ იყო მიტოვებული.

ჟენევის კონვენციის თანახმად, ზურაბ ადეიშვილთან მიმართებით შესაძლოა, ლტოლვილის სტატუსის მინიჭება პოლიტიკური შესხედულებების გამო მომხდარიყო, მაგრამ განა ზურაბ ადეიშვილს პოლიტიკური პოზიციისთვის საქართველოს ხელისუფლება დევნის? განა რომელიმე ბრალდებაში მისი პოლიტიკური პოზიცია ნახსენებია? ისეთივე პოზიცია აქვთ სხვა დანარჩენ ბოზოლა ნაციონალებს, მაგრამ ისინი უცხოეთში არ გაქცეულან და საქართველოში აგრძელებენ პოლიტიკურ საქმიანობას. ესე იგი, საქართველოს ხელისუფლებას უფლება აქვს, გაარკვიოს, რატომაა ლტოლვილად ალიარებული ადეიშვილი.

კიდევ ერთი მომენტი: პროკურატურამ 14 აპრილს გამოგვიცხადა, რომ

მიმდინარე წლის 18 თებერვალს ინტერპოლს თურმე ახალი ინსტრუქციები მიუღია, რომელთა თანახმად, ვისაც ლტოლვილის სტატუსი აქვს, მის მიმართ ნითელი ცირკულარით გამოცხადებული ძებნა უქმდება. არც ეს იცოდა ხელისუფლებამ (პროკურატურამ) და მხოლოდ ორი დღის წინ გაიგო? იცოდა, მაგრამ ჩუმად იყო. თუ არ იცოდა, მით უარესი მისთვის.

მოკლედ, მწარე რეალობის წინაშე დავდეთ: საეჭვოა, რომ ინტერპოლმა ზურაბ ადეიშვილი კვლავ ძებნილობაში ჩართოს - ლიონიდან არავინ გამოგვიგზავნის წერილს, შევცდებით და გვაპატიეთ, ხვალვე გამოვასწორებთ.




რა შეიძლება გაკეთდეს ასეთ სიტუაციაში? ბევრი არაფერი. ვფიქრობ, რომ პროცესი შეუქცევადია. სამსუხაროა, მაგრამ ასეა (ნეტავ, ვცდებოდეთ). ერთადერთი ისლა დაგვრჩენია, რომ „გაიჩივოს“ და დასახელდეს ლტოლვილის სტატუსის მიმნიჭებელი სახელმწიფო. ეს ღია ინფორმაცია უნდა იყოს, უბრალოდ, მოკლედ უნდა დაინყოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ინტერპოლის ეროვნული ბიუროს მეშვეობით.

ეჭვი მაქვს, რომ ეს სახელმწიფო უნგრეთია, სადაც საქართველოს საელჩო 2008 წლიდან არსებობს. ვიცით, რომ უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი ნაციონალების მოყ-

ვარული კაცია, ზურაბ ადეიშვილი ბოლო წლების განმავლობაში ორბანის მთავრობაში უშტატო თუ შტატთან მრჩველად მუშაობდა.

მეორე სახელმწიფო, შესაძლოა, უკრაინა იყოს, სადაც ადეიშვილი უკანასკნელ ხანებში ხშირად უნახავთ. იქ ხომ მას თანაპარტიელები ეგულება. უკრაინის ხელისუფლება ადეიშვილს მოქალაქეობასა თუ ლტოლვილობის სტატუსს როგორ არ მისცემდა - ბევრისთვის მიუცია და არც ქართველი ექს-მინისტრი იქნებოდა გამოჩინების. და თუ ზუსტად დადგინდება ის სა-



ხელმწიფო, რომელმაც საქართველოს ინტერესები ფეხზე დაიკიდა, ჩვენ მის ინტერესებს ფეხზე თუ არ დავიკიდებთ, მაშინ პროტესტის ნოტა მაინც უნდა გაუვგზავნოთ, მაშინ დროებით ელჩი მაინც უნდა გამოვიწვიოთ, მაშინ ურთიერთობის დონე მაინც უნდა შევამციროთ... პარალელურად საერთაშორისო არენაზე ამ სახელმწიფოს მიმართ გარკვეული ანტიაგიტაცია გავწიოთ. რაც შეეხება აქ, თბილისში, ჩვენი ინტერესების ფეხებზე დამკიდვე სახელმწიფოს საელჩოს წინ აქციები უნდა მოწყვეთ, პრესაშიც უნდა აისახოს გონივრული კონტრპროპაგანდა. მოკლედ, თუ გული გულობს, ჩვენი ინტერესების დაცვის მიზნით საკმაოდ ბევრი ზომიერი ფორმა და მეთოდი შეიძლება მოინახოს, - წერს სიმონ კილაქაი.

კაკალ გულში

დღეს სასამართლოში რომელი ნაციონალი ატარებს მითინგს?

თუ ადეიშვილს ლტოლვილის სტატუსის მიღების გამო მოუხსნის ნითელი ცირკულარი, კოფუას, რომელსაც აქვს ლტოლვილის სტატუსი, რატომ არ უხსნიან? ძირს ინტერპოლის ორმაგი სტანდარტები!!! (ან ჩვენი მატყუარები).

მოსამართლე გიგი უგულავას და ვანო მერაბიშვილს უფლებას აძლევს, პრესკონფერენციები მოაწიონ და შოუ-

ბი დადგან სასამართლოს დარბაზში. აბა წვრილმან ქურდობაზე, ან მსუბუქი ნარკოტიკის მოხმარებაზე დაკავებულმა ოდნავადაც რომ აიმაღლოს ხმა, სხვადასხვა სანქციებს დაუწესებენ და დარბაზში მსხდომ გულშემატიკურებს ტაშის დაკვრას და ოვაციების გამოსატყვას აძლიან კი არა, გადაწურულსაც დააჯარიმებენ!

მოკლედ იმაზეც არ იწუხებენ თავს ნაციონალები, „პოჩერკი“ რო შეცვალონ. ამჯერად Euronews-ზე იქორავა რომან გოცირიძემ საქართველოს ეკონომიკურ გამოკალიფსზე. ადრეც ვკითხე ბატონ რომანს და არ მიპასუხა. ხო გახსოვთ: ისაო, ესაო ეროვნული ბანკის გაპოლიტიზება დაუშვებელიაო, ქადაგიძეს რო გადაეფოფრა? მაშინ დასაშვები იყო ეროვნული ბანკის პოლიტიზირება, ქადაგიძე 2012 წელს სამსახურებიდან რო ყრიდა ოცნების მოხრეუბს-თქო? დავთავებ და არ მიპასუხა, ეტყობა არ ესმოდა, ორცხოწლიას ქამდა. მაინც ვკითხავ - ბატონო რომან, ლარის 20%-იანი გაუფასურება რო ჩაიხვიეთ, ევრომ 24%-იანი დეფლაცია უფრო საყვარლად განიცადა, თუ რაშია საქმე, გაგვარკვიეთ ჩვენ უფიცები? დავიჯერო ისეთმა „პროფესიონალმა“,

ნეხცილოჯანი თქაზუბი

და შესაბამისად საქართველოს ვალუტაზეც იქონია გავლენა? ძალიან კარგად იცით, როგორ შეეძლო ამ კრიზისის მოგვარება ეროვნულ ბანკს, მაგრამ მერე ვეღარ იყვირებდით არიქა ვილუბებითო და ზედაპირულად ჩაერეით ეკონომიკის ლომები.

ვანო მერაბიშვილო, „მადნეულის“ და „კვარციტის“



ყოფილი მებატრონის - ზურა ლომჯინიძის აგარაკი (რომელიც „მეტალიკ 1871“-ის კუთვნილება იყო) რომ მიითვისე თაღლითურად კვარიათში, მაშინ როგორი მოსამართლეები იყვნენ? ზოგი რამ კავშირების შესახებ საბჭოთა კავშირიდან გამოსვლისას ჩვენ გვერდოდა საკუთარი დროშა, ჰიმნი და გერბი. გვერდოდა მამული, ენა, სარწმუნოება, განვითარებული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, განათლება, მეცნიერება, კულტურა, სპორტი... ვეროკავშირში შესვლისთვის ჩვენ გვაქვს დროშა, ჰიმნი, გერბი და ცოცხი. გვაქვს მამულის 2/3, ენის 1/3, სარწმუნოების 93/7, კულტურა და განვითარებული რაგბი, რაც საუკეთესო უნარ-ჩვევა სადმე შემსვლელისთვის. ვეროკლანტიკურ კავშირში შესვლისათვის, ჩვენ გვაქვს ბაზიანი ვაზიანი. ცუკავშირში შესვლისათვის არაფერიც არა გვაქვს!

ამოკრება ბია გაბრიშიძე



# ბროუბად გაყიდვით ქართულ მიწას!

სამართლებლო დღეს წაგაგას მსუქან დუმას. გარეშე კაცი მიეტანა ამ დუმას და ნელ-ნელა ათლის კაი-კაი ნაჭრებს. ჩვენი ტერიტორია სხვის ხელში გადადის და ჩვენ, ქართველები, ამ დუმის თლას — მიწა-წყლის გადასვლას სხვის ხელში, როდესაც ვინააღმდეგებით სასტიკად... რას სწადის, ვინ მოგცათ ნება, ერის საუნჯე ტერიტორია სამომ, საკაცობრიო ტაბლად აქციოთ და თვით ერსაც ხელი ეროვნულობაზე ააღებინოთ!

ვაჰა

იფიქრებთ, ვაჰა გაცოცხლებულა და დღევანდელ ხელისუფალთ მოუწოდებს, გონით იყავითო. არადა ასეთ შეგონებას ნამდვილად იმსახურებენ. თანამედროვე მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებისთვის მიყიდვას და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა (დაშვებულია მხოლოდ გარკვეული და კონკრეტული წინაპირობებით). უმეტეს ქვეყნებში ყველაზე მკაცრი შეზღუდვები წესდება იურიდიული პირების მიმართ მიწის მიყიდვებზე. ეს რომ ასე არ იყოს, ნებისმიერი მდიდარი კომპანია რამდენიმე წუთში მთლიანად შეისყიდდა გაჭირვებული მცირე ქვეყნის საგარეო უფლებს.



ჩვენთან კი რა ხდება? ამის თაობაზე პატრიოტი ქართველისა და მეცნიერი სპეციალისტის პოზიციიდან გულმტკივნეულად მოგვითხრობს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, დამოუკიდებელი ექსპერტი უძრავი ქონების (მიწის) საკითხებში **ანზორ მისხიშვილი** ახლახან გამოცემულ წიგნში **„ჩემო ძარბოვანი მიწას“** რომელსაც ამ

საჭირობოტო პრობლემასთან დაკავშირებით არაერთი სტატია, შრომა და წიგნი აქვს მიძღვნილი. გაზეთის რედაქცია დაუკავშირდა წიგნის ავტორს და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

— ვიდრე წიგნზე რამეს ვიტყვოდე, — განაცხადა **ანზორ მისხიშვილი**, — მიწა, მოკლე განმარტება გავაკეთო გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში მომხდარი საგადასახადო ფაქტის გამო. ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, 1992 წლამდე საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე კერძო საკუთრება არ არსებობდა. სწორედ ამ წლის 18 იანვარს ქვეყნის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც დაუშვა სასოფლო-სამეურნეო მიწებზე კერძო საკუთრება. 1996 წლის დასანყისში მომზადდა კანონპროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა ხსენებული მიწების საკუთრებაში გადაცემის უფლებას საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებზე, რაც იმას ნიშნავდა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეეძლო, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, განუსაზღვრელი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობის შექენა.

საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენელთა პროტესტისა და კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ, ხელისუფლება იძულებული გახდა, შეეცვალა კანონპროექტი და 1996 წლის 22 მარტს მიიღო საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, რომლის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში ჩაინერგა: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საკუთრებაში გადაეცემა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს და უცხო ქვეყნის მოქალაქეს სასოფლო-სამეურნეო მიწა მიეცემა მხოლოდ იჯარით“.

— ვერაფერს დაუწუნებთ, ბატონო ანზორ, მშვენიერი კანონი მიუღიათ.

— რა თქმა უნდა, კანონი მართლაც კარგი მიიღეს, მაგრამ აღარ იკითხავთ, როგორ შეასრულეს? გათვალისწინდა ხანი და კანონის ჯიჯგნა დაინყეს. თუ კანონის მიღების დროს ის 22 მუხლისგან შედგებოდა, დღემდე შეტანილი 14 ცვლილების შედეგად, ის განახევრეს (11 მუხლი ამოიღეს) და პირველადი ღირსება მთლიანად დააკარგინეს. შეიძლება ითქვას, პარლამენტის რომელ წევრს რაც მოესურვებოდა, კანონიც იმის მიხედვით იცვლებოდა.

— და რა მივიღებთ?

— ის, რომ კანონმა დაუშვა უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში გადაცემა. ერთი ხანობა ეს მუხლი კანონიდან ამოიღეს (გაქრა!), მაგრამ შემდეგ ისევ აღადგინეს (?). კანონში ჩაინერგა: „უცხოელი და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირები ვალდებული არიან, თავიანთ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები მათზე საკუთრების უფლების წარმოშობიდან 6 თვის ვადაში გაასხვისონ საქართველოს მოქალაქეზე ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე“. ვალ-

## მიწების განიჯგნა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ფორმისა

დებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხსენებულ პირებს სასამართლოს გადაწყვეტილებითა და სათანადო კომპენსაციით სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთმევათ მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები.

— ვითომ ცუდი გადაწყვეტილებაა?

— არა, გადაწყვეტილება კარგია, მაგრამ რა ხდება ამის შემდეგ, არ იკითხავთ? ხდება საოცრება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავჯდომარემ, ამასთანავე, მომხსენებელმა მოსამართლემ გიორგი პაპუაშვილმა დააკმაყოფილა დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქისტიის სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და 2013 წლის 26 ივნისს გაატარა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება „3/1/5/512“, რომლითაც გაუქმდა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში გათვალისწინებული ყველა შეზღუდვა უცხოელთა მიერ მიწების შესყიდვასა და საკუთრებაში ქონაზე. ასეთი ქმედება, არც მტერი, არც ნაკლები, სამშობლოს ღალატის ტოლფასია!

საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გაუგონარმა გადაწყვეტილებამ ალაშქრდა სრულიად საქართველოს საზოგადოებრიობა. აქედან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტმა გონი მოიკრიბა და გამოაცხადა მორატორიუმი, რითაც 2014 წლის ბოლომდე შეაჩერა სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და იმ იურიდიულ პირებზე, რომლებიც საქართველოში არიან დაფუძნებული.

დღეს ქართულ მიწას მინაური თუ უცხოელი ისე ჯიჯგნის, რომ არავინ არავის არაფერს ეკითხება. არ ეკითხებიან ჩვენს მარჩენალ მიწაზე დამკვიდრებულ გლეხს, არ ეკითხებიან ქართველ საზოგადოებას, და რაც უფრო საოცარია, არ ითვალისწინებენ უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს პატრიარქის აზრს.



მაგრამ ტრაგედია ამით არ დასრულდა. ავსტრიის მოქალაქემა „იოჰანა“ და საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი, პარლამენტის მიერ გამოცხადებული მორატორიუმის ბათილად ცნობის თაობაზე. ჩვენმა „სამაყო“ საკონსტიტუციო სასამართლომ ამჯერადაც „იგაჟგნა“, დააკმაყოფილა მომჩივანის სარჩელი, რითაც შესაძლებელი გახდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულმა პირებმა, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, განუსაზღვრელი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო მიწები შეიძინონ.

— საინტერესოა, ბატონო ანზორ, ვინ არიან ეს ავსტრიის,

გნებავთ, დანიის მოქალაქეები, რომლებიც საქართველოში ასეთი კანონგარეშე პრივილეგიებით სარგებლობენ, ან, ხომ ვერ გვეტყვი, ხელისუფლებაში ვინ დგას მათ ზურგსუკან?

— მაგას ვერ გეტყვი, ვინ მფარველობს უცხოელებს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ იმავე დანიასა და ავსტრიაში მიწის კანონმდებლობით, უცხოელის მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის (1 ჰექტარზე მეტის) არა თუ შექენა, იჯარით აღებაც კი სპეციალურ ნებართვას საჭიროებს. ვფიქრობ, თქვენ, ჟურნალისტებიც დანიტერესებით, ვინ არიან ეს უცხოელები, რომლებიც ასერიგად „ზრუნავენ“, ქართული მიწების ათვისებით ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. ფაქტი ის გახლავთ, რომ მიწის კანონმა დაკარგა მნიშვნელობა და ვერ პასუხობს სადღესო მოთხოვნებს. სწორედ აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალე, ჩემი წიგნით ერთხელ კიდევ გამემახვილებინა ჩვენი მოქალაქეების ყურადღება ამ მეტად მამულიშვილურ საჭირობოტო პრობლემაზე.

— ბატონო ანზორ, რამდენად ცნობილია, ამჟამად პარლამენტში შესული კანონპროექტი თქვენს მიერ აღნიშნულ კანონში ცვლილებების შესახებ. როგორია თქვენი აზრი ამ ცვლილებებთან დაკავშირებით?

— კანონში შესატანი ცვლილებების პროექტმა ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი შეფასება დაიმსახურა როგორც აკადემიურ წრეებში, ისე ფართო საზოგადოებაში. დღეს ქართულ მიწას შინაური თუ უცხოელი ისე ჯიჯგნის, რომ არავინ არავის არაფერს ეკითხება. არ ეკითხებიან ჩვენს მარჩენალ მიწაზე დამკვიდრებულ გლეხს, არ ეკითხებიან ქართველ საზოგადოებას, და რაც უფრო საოცარია, არ ითვალისწინებენ უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს პატრიარქის აზრს.

— ხომ ვერ გვეტყვი, დღესათვის რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაა გაყიდული უცხოელებზე?

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, 2012 წლის ივნისიდან 2013 წლის ივნისამდე, საქართველოში უცხოელებისგან შექმნილია 395 იურიდიული პირი, რომლებმაც შეისყიდეს 271 ნაკვეთი, აქედან სიღნაღის რაიონში — 8 ათასი ჰექტარი, სოფელია ნაწილია წმინდაში (ყოფილი ულიანოვკა) — 1545 ჰექტარი, მცხეთის რაიონის სოფლებში — 200 ჰექტარი, გურჯაანის რაიონში — 1500 ჰექტარამდე. ანალოგიური სურათია სხვა რაიონებშიც. ამჟამად საქართველოს ბევრი სოფელი გაუკაცრიელებულია. 2002 წლის აღწერის მიხედვით, 162 სოფელში მოსახლეობა აღარ ცხოვრობს, 10 კაცი და უფრო ნაკლები ცხოვრობს 152 სოფელში. მოსახლეობისგან იცლება საქართველოს ისტორიული კუთხეები — რაჭა-ლეჩხუმი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი... გამოდის, მტერი და აგრესორი სულაც არ არის საქირი, ჩვენ რამე რომ გვავენოს. თავადვე გაგვჩვენებთ დედამიწის ზურგიდან და ამისთვის დიდი დროც არ დაგვჭირდება. თუ ყველაფერი იმას, რაც ზემოთ იყო ნათქვამი, ჩვენი ქვეყნის საგარეო პრობლემასაც დავუმატებთ და იმასაც გავანალიზებთ, რა რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში გვინევს არსებობა, ძნელია, ოპტიმიზმით განიმსჯვალო და ცხოვრებას მხნედ შეხედო.

თუმცა, ოპტიმიზმისთვის საკმაო საფუძველი მაინც არსებობს. ეს იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პარლამენტი სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უფლებელმყოფელი კანონპროექტის განხილვაზე უარს იტყვის და ორიენტაციას მიწათსარგებლობის ახალი, რეალისტური კანონის (მიწის კოდექსი) შემუშავებაზე აიღებს.

ოთარ ხუციშვილი

### მუნიციპალური განვითარების ფონდი

## შიდა ქართლში წყალმომარაგება გაუმჯობესდება

შიდა ქართლის 9 სოფლის 1120 ოჯახს 24-საათიანი წყალმომარაგება ექნება, — ამის შესახებ „მუნიციპალური განვითარების ფონდიდან“ იტყობინებთან. მათივე ინფორმაციით, შიდა ქართლში გაწყობილი ხაზის 9 სოფელში წყალმომარაგების მოწესრიგების სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოებს მუნიციპალური განვითარების ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებს.

სამშენებლო სამუშაოები საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ილია დარჩიაშვილმა გორის მუნიციპალიტეტის გამგებელ დავით ონიავილითან ერთად დაათვალიერა და ადგილობრივ მოსახლეობას გაესაუბრა. ფონდის ინფორმაციით, აღნიშნული სოფლებისთვის წყალმომარაგება ამ დრომდე ერთ-ერთი პრობლემური საკითხი იყო, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ცხრავე სოფელს პრობლემა სრულად მოუგვარდება.

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცსა და კნოლევში, ასევე სოფელ წაღლში წყალსადენის ქსელი საერთოდ არ არსებობდა და მოსახლეობა წყალს წყაროებიდან იღებდა. პროექტის დასრულების შედეგად ცხრა სოფლის მოსახლეობას წლების მანძილზე არსებული პრობლემა მოუგვარდება.

პროექტის განხორციელების შედეგად — დიდი ხურვალეთის, გუგუთიანთარის, კოშკას, ზარდიანთარის, დიციის, მერეთის, წაღვლის, ატოცის და კნოლევის 1120 ოჯახი სასმელ წყალს უწყვეტ რეჟიმში მიიღებს. მიმდინარე

პროექტის ღირებულება 2,444,571.98 ლარია. პროექტზე 50 ადამიანზე მეტია დასაქმებული. სამუშაოები წლის ბოლოს დასრულდება.

მუნიციპალური განვითარების ფონდი გასულ წელს აღნიშნულ სოფლებში რეზერვუარების მშენებლობა დაასრულა. ასევე, ცხრავე სოფელში გაკეთდა წყლის ჭაბურღილები, წელს კი აღნიშნულ სოფლებში დაქსელვის სამუშაოები მიმდინარეობს.

06ტარპრპსი





# სკოლაშენი განათლება ყველა აბაშელი ბავშვისთვის სკოლისანაზღვროდ

ვის მზადყოფნის სტანდარტები, ეროვნულ-სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა ადრეული და სკოლაშენი განათლებისათვის, სადაც სრულად არის განვლილი ყველა ის მოთხოვნა, რაც დაკავშირებულია მომავალი თაობის აღზრდასთან.

სტანდარტების შესაბამისად სააღმზრდელო აქტივობების ჩატარებისათვის აღმზრდელობის სფეროს განვითარება მეთოდური და მხატვრული ლიტერატურა, დიდაქტიკური მასალები, სხვადასხვა აპლიკაციები. №1 ბაგა-ბაღის ბაზაზე შეიქმნა წიგნადი ფონდი, რომლითაც სარგებლობს საბავშვო ბაღები. სკოლაშენი დაწესებულებები უზრუნველყოფილი არიან მუსიკალური ინსტრუმენტებით, ეტაპობრივად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის გასართობი და დიდაქტიკური სათამაშოების შექმნა.

**სკოლაშენი განათლება** საგანმანათლებლო სისტემის საფუძველია, რომელზეც ბავშვი უნდა მოამზადოს განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად. გამომდინარე აქედან, სკოლაშენი აღზრდა წარმოადგენს სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგიულად პრიორიტეტულ მიმართულებას, რასაც, თავის მხრივ, საყოველთაოდ აღიარებული ბავშვის უფლებების დაცვის პრინციპები უდევს საფუძვლად, რამეთუ ბავშვის უფლებათა კონვენციაში აღიარებულია ბავშვის უფლებები, სახელმწიფოს ვალდებულებები და მოვალეობები.

**აბაშის სკოლაშენი და სკოლისბარში სააღმზრდელო დაწესებულება 2013-2017 წწ. სკოლაშენი განათლების სტრატეგიის შესაბამისად, რომლის რეალიზაციას განხორციელებს კონტროლ-ზამ ახმანდის აბაშის მუნიციპალიტეტის მამბეზოვის მიერ.**

აბაშის სკოლაშენი განათლების სტრატეგიის ძირითადი მოზენებია ბავშვთა ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება, შემეცნებითი განვითარება, სწავლისადმი მიდგომა, მეტყველების გაუმჯობესება, სოციალურ-ემოციური განვითარება. შესაბამისად, საბავშვო ბაღები ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ აპრობირებულ სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამას და ადრეულ ასაკში სწავლებისა და განვითარების სტანდარტებს. მთავარი ამოცანა: სკოლისათვის ბავშვის მზაობა, რაც თავისთავად განაპირობებს განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამის წარმატებით რეალიზებას.

1995-2007 წლებში აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლაშენი განათლების სისტემა სავსებით ვერ პასუხობდა მოთხოვნებს, წლითწლით მცირდებოდა საბავშვო ბაღების რაოდენობა, რის შედეგადაც მიმდინარე ეტაპზე, 26 საბავშვო ბაღიდან ფუნქციონირებს მხოლოდ – 15.

სკოლაშენი განათლების სისტემაში შექმნილი იყო მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რაც ერთგვარად აისახებოდა აქ დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე. ბავშვთა კვება იყო არასრულფასოვანი. გარდა კვებას, მშობლების მიერ ფინანსდებოდა ჰიგიენური საშუალებები, შეშა, ლუმელი, საბავშვო ბაღებს არ გააჩნდათ სათამაშოები, წიგნები. ამ წლებში არ შექმნილა არცერთი სახის ავეჯი და ინვენტარი. სკოლაშენი დაწესებულებებში არ ჩატარებულა არც მიმდინარე და არც კაპიტალური რემონტი, მწყობრიდან იყო გამოსული წყალმომარაგების სისტემა. ამ პრობლემების გასაწვევად რაოდენობა ბაღებში შეადგენდა 200-300 ბავშვს.

სასწავლო წლის ბოლოს ტარდება უფროსგუფელთა შემაჯამებელი მეცადინეობა, სადაც ხდება ერთგვარი შეფასება სკოლისათვის ბავშვთა მზაობისა. ღონისძიებაში ჩართული არიან საბაზო სკოლების დაწესებულებები.

ს/ბაღისა და სკოლის ურთიერთობის ერთ-ერთი ეფექტური ფორმაა ინფორმაციის მიწოდება სკოლისათვის ბავშვთა განვითარების შესახებ, რომელიც სკოლის პედაგოგს გაუადვილებს ბავშვის უნარ-ჩვევებზე დაკვირვებას და შესაბამისად მუშაობას.

ს/ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სწორად და მიზნობრივად წარმართვა ერთმნიშვნელოვნად დამოკიდებულია კადრებზე, მათზე, ვისაც აკისრია ეს მეტად საპასუხისმგებლო საქმე. ყველა საბავშვო ბაღის უფროსი და აღმზრდელი არის უმაღლესი ან საშუალო სპეციალური პედაგოგიური განათლების მქონე.

ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტების შესაბამისად პერიოდულად ტარდება ტრენინგები, როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით, ასევე ადგილობრივი ძალებით.

არ შეიძლება დიდი კმაყოფილებით არ აღვნიშნოთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერა და დაინტერესება სკოლაშენი განათლების სისტემის მიმართ. ბოლო წლებში არაერთი მეთოდური სახელმძღვანელო და რეკომენდაცია მოგვანოდეს, რასაც ეტაპობრივად ვახორციელებთ. ამჟამად ვმუშაობთ ისეთ მნიშვნელოვან პროექტებზე, როგორცაა სკოლაშენი აღზრდისა და სკოლისათ-

ვის მზადყოფნის სტანდარტები, ეროვნულ-სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა ადრეული და სკოლაშენი განათლებისათვის, სადაც სრულად არის განვლილი ყველა ის მოთხოვნა, რაც დაკავშირებულია მომავალი თაობის აღზრდასთან.

სასწავლო-სააღმზრდელო და სხვა ყო-



**მამუკა კვიციანი:** 2015-17 წლებში მოხდება აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლაშენი დაწესებულებების სრული რეაბილიტაცია.

ფითი საკითხების გადაწყვეტაში აქტიურად არიან ჩართული მშობლები, რომელთაც კოორდინაციას უწევენ სამეურნეო საბჭოები საბავშვო ბაღსა და მშობელს შორის ურთიერთობა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებით. აკრძალულია მშობელთა მხრიდან რაიმე სახის თანხის გადახდა, გარდა ქველმოქმედებისა, რომელიც კანონთან შესაბამისობაშია.

ქრისტიანულ ადათ-წესებზე მომავალი თაობის აღზრდა ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა აღმზრდელობით საქმიანობაში. ყველა საბავშვო ბაღში მოწყობილია რელიგიის კუთხე.

ბოლო პერიოდში მეტად აქტუალური და მტიკინეული გახდა ბავშვზე ძალადობის საკითხი. შევიმუშავეთ კომპლექსური ღონისძიებათა გეგმა ბავშვზე ძალადობის გამოსავლენად და აღსაკვეთად, ეს იქნება ოჯახში თუ ოჯახის გარეთ... საბავ-

შვო ბაღში კი თითოეულ მსგავს შემთხვევას მიეცემა მკაცრი შეფასება. ასევე შესწავლეს და დაკვირვების საგანია ოჯახური ძალადობა, კონფლიქტები, როგორც ბავშვის ჯანსაღი განვითარების უმთავრესი ხელისშემშლელი მიზეზი. დღის წესრიგში დადგა და ხორციელდება მშობელთა პედაგოგიზაციის საკითხი.

ბავშვთა ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება ადრეული ასაკის განვითარების სტანდარტების მთავარი სტრატეგიული მიმართულებაა, მათ შორის სრულფასოვანი, ჯანსაღი კვება უმთავრესი ამოცანაა.

საქართველოს მთავრობის 2014 წ. 15 ივნისის დადგენილების, „ბავშვთა სკოლაშენი დაწესებულებებში კვების და ნორმების დამტკიცების შესახებ“, შესაბამისად ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით გატარდა ღონისძიებები. უმთავრესი პრობლემა, რომელიც არსებობდა ბავშვთა კვების დაფინანსების საქმეში, მთლიანად მოგვარდა. კვების თანხა სრულად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან. კვება გახდა სამჯერადი, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ბავშვთა კონტინგენტი. დღეს 620 ბავშვი ირიცხება სკოლაშენი დაწესებულებაში, ანუ წინა წლების მაჩვენებელს ორჯერ გადააჭარბა, რაც მისასაღებელია, რადგანაც ადგილობრივი ხელისუფლების და გაერთიანების მთავარი მიზანია არცერთი სკოლაშენი ასაკის ბავშვი არ დარჩეს ს/ბაღის გარეშე.

კვების პროდუქტებით ს/ბაღების მონარაგებას უზრუნველყოფენ ტენდერში გამარჯვებული კომპანიები.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების „განსაკუთრებით მალეუჭეზადი პროდუქტების შენახვის პირობებისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მკაცრი კონტროლი ხორციელდება პროდუქტების ხარისხზე, ვადაზე, შენახვის წესების დაცვასა და კერძის დამზადებაზე.

შესაძლებლობის მიხედვით ვითვალისწინებთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ძირითად რეკომენდაციებს უსაფრთხო კვებასთან დაკავშირებით.

დაბა სურამში მდებარეობს აბაშის საკუთრებაში არსებული ბავშვთა დასასვენებელი სახლი, სადაც საფასურის გარეშე, საკუთარი კვებით, შეუძლია მშობელს დაასვენოს ბავშვი.

**2015-2017 წწ. აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობას (გამგებელი მამუკა კვიციანი) გამოცხადებული აქვს სკოლაშენი დაწესებულებების აღმშენებელი, ანუ ამ პერიოდში ისე უნდა მოეწყოს სკოლაშენი დაწესებულების ინფრასტრუქტურა, რომ ყველა ბავშვს ჰქონდეს ნორმალური აღზრდისა და განვითარების პირობები.**

2014 წელს კაპიტალური რემონტი ჩატარდა რვა საბავშვო ბაღს. ყოველწლიურად სოფლის პროგრამით გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის საშუალების ჩატარება სკოლაშენი დაწესებულებებში.

2015 წლის სექტემბრისათვის, გარდა ავარიული საბავშვო ბაღებისა, სადაც დაგეგმილია ახალი შენობების აგება, ყველა საბავშვო ბაღი უზრუნველყოფილი იქნება ცხელი წყლით, შენობის გარეთ განთავსდება სველი ნერტივები.

მიმდინარე წელს გაიხსნება თანამედროვე სტანდარტული ტიპის საბავშვო ბაღი ნორიოს თემში 50 ბავშვზე, ონტოფოს თემში – 30 ბავშვზე. ახალი საბავშვო ბაღი აშენდება ტყეფის, პ/მაისის, კუთილარის თემებში. ასე რომ, არცერთი სოფელი არ იქნება საბავშვო ბაღის გარეშე.

პირადად გამგებელს, პატონ მამუკა კვიციანს თვის საარჩევნო პროგრამაში საზღვარსა და აღნიშნული 2015-2017 წწ. სკოლაშენი დაწესებულებების სრული რეაბილიტაცია. მისი აზრით, საბავშვო ბაღი ბავშვებისთვის მეორე სახლია და პატარებს იქ უნდა დასვენდნენ მშობელი ურთი, თბილი, ლამაზი გარემო.



**დარეჯან ელიძე,** აბაშის სკოლაშენი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების დირექტორი.



საბანკო სექტორი

სიმპლარის ნებისმიერი დონის ეკონომიკის განვითარებისათვის, უწინარესად, ფინანსური ბაზა აუცილებელია, რომლის გაფართოებაც ყველა სახელმწიფოში უზრუნველდება.

სამწუხაროდ, საქართველოზე ამის თქმა არ შეიძლება, ვინაიდან ჩვენში სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე წვდომა მხოლოდ კომერციულ ბანკებს აქვთ. დანარჩენებისთვის კი, როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისთვის, ის დახურულია.

ყველას საანბრო სარგებელს სობ-სობა რაო „ნაინსკოს“ ...

ძნელი სათქმელია, რამდენად გაიზარდებენ ამ მოსაზრებას, ვთქვათ, თუნდაც პენსიონერები, რომელთა გარკვეული ნაწილი თავისი მწირი პენსიის ნაწილს „მემრის გასაჭირის დღისთვის“ ინახავს, ასევე ბევრი სხვაც, მაგრამ ექსპერტები ამასთან დაკავშირებით იმასაც დასძენენ, რომ საბანკო დეპოზიტები ინფლაციისგან დაზღვევის მექანიზმი უფროა, ვიდრე ფინანსური სარგებლის მიღების გზა.

ამ ნაბიჯის აუცილებლობაზე საუბრისას, ფინანსური სფეროს სპეციალისტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ეს ხელს შეუწყობს ფულის რეალურ, ეკონომიკაში შედინებასა, და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალტერნატიული საფინანსო ბაზრის განვითარებას.

ცნობილია, რომ საბანკო სექტორი საქართველოში ეკონომიკის ერთ-ერთი უმძლავრესი სფეროა, რომელიც წლების განმავლობაში სტაბილურად ვითარდება, მაგრამ ბანკებში ფულადი სახსრების აკუმულირება ქვეყნის ეკონომიკას რეალურად არ ადგება, პირიქით, აზიანებს მას. ამდენად, როცა ხალხი ფულს დეპოზიტებზე ინახავს, საჭიროა მისი რეალურ ეკონომიკაში მიმართვა, ამდენად იქიდან მიღებული სარგებლის დაბეგრის შემოღებაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

კიდევ ერთი არგუმენტი ის გახლავთ, რომ დეპოზიტი – იგივე ქონებაა, ამდენად ქონების გადასახადის დაწესება საფასურით მართებულია და სამართლებრივად გამართლებული. თანაც ამან ხელი უნდა შეუწყოს კრედიტებზე სადღეისოდ დადგენილი მაღალი საპროცენტო განაკვეთების შემცირებას. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ ზოგიერთნი მოვლენათა სრულიად საპირისპირო მიმართულებით განვითარებას, ანუ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების გაძვირებასაც არ გამოირიგებენ, მაგრამ ამ შემთხვევაში, მათი აზრით, ამ რისკს თავისუფალ ბაზარზე მოქმედი კონკურენცია დაარეგულირებს. გარდა ამისა, ყურადღებას აქცევენ იმასაც, რომ საკითხის ცალსახად გადაწყვეტა არ ივარგებს, მას აუცილებლად კომპლექსური მიდგომა და სერიოზული მოსაზრებები სამუშაოს ჩატარება სჭირდება.

მეანაბრეთათვის ამ ნაბიჯის უმტიკვენულობაზე ისიც იმოქმედებს, რომ სადღეისო საბანკო დეპოზიტებზე საშუალო განაკვეთი დაახლოებით 6 პროცენტია, სარგებლის ერთი პროცენტი კონკრეტული მეანაბრის საერთო ფინანსურ მდგომარეობაზე დიდად არ აისახება. ხოლო თუ ამის შედეგად კომერციული ბანკები დეპოზიტორთა ნაწილსა და მათ კუთვნილ თანხებს დაკარგავენ, მათ ფულადი რესურსების მიზიდვის პრობლემა მაინც არ შეექმნებათ, რადგან ამის წყაროები ეროვნული ბანკი და უცხოური საფინანსო ორგანიზაციებია.

ოთარ ტურაბალიძე

კრედიტების დაზღვევა

სსსსის ტვირთი: უმსუბუქების პერსპექტივა

საბარტმელოს ევროკავშირთან ასოცირების პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა ქვეყანაში მიღებული, ფაქტობრივად, ყველა სტანდარტის ევროპულლებთან შესაბამისობაში მოყვანაა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დახმარება, რომელსაც ორგანიზაცია საქართველოს გაუწევს დასახული მიზნების მიღწევაში. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების ფარგლებში, ევროსტანდარტებზე გადასახველად, სამომავლო მენარმეთათვის საგრანტო პროგრამა, რომელიც უახლოეს მომავალში დაიწყება.

აღნიშნული საგრანტო პროგრამის ქვაკუთხედს სამამულო საშუალო და მცირე მენარმეებისთვის ბანკებთან ურთიერთობათა ევროპული სტანდარტების შესაბამის ჩარჩოებში მოქცევაა. სწორედ ესაა მისი პრაქტიკული ფასეულობა, ვინაიდან მანამდე ამ მიმართულებით დახმარება, ფაქტობრივად, მხოლოდ საკონსულტაციო დონეზე ხორციელდებოდა. საქმიანობის ნამოყვების მსურველ მენარმეთათვის. ამ მიმართულებით საშუალო და მცირე ბიზნესისთვის დახმარების განევა მენარმეთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან კომერციულ ბანკებთან ურთიერთობა, საფინანსო წყაროებზე წვდომა მუდამ იყო მათთვის ყველაზე პრობლემური საკითხი. ამ მხრივ

ერთგვარი გარღვევა დაიწყო მას შემდგომ, რაც რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, მათ შორის, „ანარმოე საქართველოში“, „აგროკრედიტი“, სხვები ამოქმედდა, თუმცა სასურველი შედეგის დადგომამდე ჯერ კიდევ უამრავი რამა გასაკეთებელია. სწორედ ამიტომ, სავსებით ცხადია, რომ საიმოსოდ, რომ სამამულო მცირე და საშუალო ბიზნესი უფრო სწრაფად და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად განვითარდეს, მარტო უადრესად მნიშვნელოვანი საკონსულტაციო სახის დახმარება არასაკმარისია, ამდენად საჭიროა მისი სხვა მდგენლებით შევსება. ამან კი, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ქართული პროდუქტების ევროკავშირის უზარმაზარ ბაზარზე შეღწევისა და ადგილის დამკვიდრებას. ის დახმარება, რომელსაც უკვე მეტნაკლებად ნელგამართული ქართული მენარმეები იღებდნენ, უმეტესწილად, ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედ საკანონმდებლო ნორმების გაცნობას ეხებოდა. მაგრამ, ცხადია, ვიდრე საქმე იქამდე მივა, მენარმეებს ჯერ საბანკო ბარიერი აქვთ გადასალახავი, რაც, უწინარესად, დაკრედიტების პირობებს, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, საპროცენტო განაკვეთის სიდიდეს, სხვა ასპექტებს, ასევე რისკების დაზღვევას ეხება.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშ-

ნავია, რომ ევროკავშირის საგრანტო პროგრამის ფარგლებში რისკების დაზღვევას აუცილებლად საკრედიტო ტვირთის შემსუბუქება მოყვება, საპროცენტო განაკვეთი კი უფრო შეღავათიანი გახდება. ეს, არსებითად, იმას ნიშნავს, რომ მენარმეთათვის უდიდესი შვევა იქნება, რომ კომერციული ბანკებიდან ლარით აღებული კრედიტი დაზღვევას, ხოლო დანარჩენი პირობების შესრულებაზე პასუხისმგებელი აღნიშნული პროგრამა იქნება. ამ მხრივ ჩვენში პრეცედენტი უკვე არსებობს, ასეთი მიდგომა პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ ფარგლებში მოქმედებს.

საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პროგრამა კრედიტების დაზღვევას არ ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის მენარმეთათვის, სადაც ევროკავშირის სხვა, უფრო სოლიდური კოოპერაციის ხელშეწყობის პროგრამა მოქმედებს. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თუ ეროვნული ეკონომიკის სხვა დარგებში მენარმეებზე კრედიტის გაცემა კომერციული ბანკებიდან მოხდება, სოფლის მეურნეობის შემთხვევაში ეს საქმე მთავრობამ უნდა იკისროს, ვინაიდან ამ შემთხვევაში რისკები გაცილებით მაღალია და, შესაბამისად, ტვირთიც უფრო მძიმე, რომლის წამოკიდებაც, ჩვეულებრივ, დონორები თავს არიდებენ.

ინოო ალექსანდრია

დედაქალაქის ზურგზე



გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი: მოსკოვის მიერ სეპარატისტული რუსული „განუყოფილ ტერიტორიებზე“ მონაწილეობის შეწყვეტის მოთხოვნა


ფრანკ-ვალტერ შტიინმაიერი კვირის ტელეინტერვიუში კომენტარი გაუკეთა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის სიტყვებს ლუგანსკისა და დონეცკის სახალხო რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შესახებ აღიარების შესახებ. გერმანიელმა მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა უნდა იქნეს შენარჩუნებული, როგორც ნათქვამი იქნა მინისტრის შეთანხმებებში.

ისრაელის მაღალი რანგის პოლიტიკოსებმა უარი განაცხადეს, დაენდნენ მოსკოვში გაპარჯუების აღწერას



ისრაელის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, ფორმალური საფუძველი უარისათვის გახდა ისრაელელი პოლიტიკოსების შემჭიდროებული გრაფიკი, რომელშიც დრო ვერ გამოინახა, მათში მოსკოვში გამგზავრებისათვის. ამავე დროს რუსეთის ფედერაციაში ისრაელის საელჩოს პრეს-ატაშემ აღუქვს კაგალსკიმ განაცხადა, რომ ოფიციალური გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ ვინ იქნება ისრაელის წარმომადგენელი ზემოზე, ჯერჯერობით უცნობია.

ესტონეთში იწყება „გორნალოს“ სამხედრო სწავლება აპრილის შუა რიცხვების პერიოდში



სწავლება იქნება უკანასკნელი 4-დან 15 მაისამდე მანევრების წინ, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს პირველი ქვეითი ბრიგადისა და ნატოს მოკავშირეების ყველა ქვედანაყოფი. სწავლების მთავარ მიზანს სამხედროების ასახელებენ მოქმედებათა დამუშავებას ჩვეულებრივი ომის პირობებში, საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებას.

სოფლის მეურნეობის მინისტრის ივანე კახიას განცხადებით, მთავრობის მიზანმიმართული პოლიტიკა უწყვეტად მოქმედებს

სომხური მიგრანტებით ლიბიიდან იტალიაში მიცურავდა. მის ბორტზე იმყოფებოდნენ ალჟირიდან, ეგვიპტიდან, სომალიდან, ნიგერიიდან, მალიდან, ზამბიიდან, ბანგლადეშიდან და განიდან გამოსულები. მამაკაცის სიტყვებით, ბევრი მათგანი ციხეში იყო ჩაკეტილი. გადარჩა, უკანასკნელი მონაცემებით 28 კაცი. მსხვერპლთა ზუსტი ოდენობა ჯერჯერობით უცნობია.





ბელარუსული დღიური № 1

მალი საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო. ამ ვიზიტს ეძღვნება ჟურნალისტ ლევან დოლიძის ეს ვრცელი წერილი.

საქართველო და ბელარუსი, ოდესღაც ერთი დიდი ქვეყნის რესპუბლიკები, დღეს დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან. მართალია, საქართველო და ბელარუსი გეოგრაფიულად ერთმანეთისგან შორს არიან, მაგრამ ამ ქვეყნებს შორის ოდითგანვე ჩამოყალიბდა განსაკუთრებული, გულწრფელი და კეთილი დამოკიდებულებანი. ამ ურთიერთობებს ბელარუსის მინაზე ადუღაბებს ჩვენს თანამემამულეთა კეთილი საქმეები და გმირული თავგამოდება. ბელარუსებს სიკეთე და კეთილშობილება არასოდეს ავიწყდებათ!

მიემართოთ ისტორიას! ბელარუსის მინას ფრანგთა შემოსევისგან იცავდა ინფანტერიის გენერლის პეტრე ბაგრატიონის არმია. ქვობლავსკში მუშაობს რუსეთის იმპერიის სამხედრო ისტორიის მუზეუმი. იგი განთავსებულია ცალკე შენობაში, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისში ააგეს. შენობის წინ აღმართულია პეტრე ბაგრატიონის უზარმაზარი ბიუსტი. სწორედ ამ შენობაში 1812 წლის ზაფხულში იმყოფებოდა შტაბბინა დასავლეთის მეორე არმიისა, რომელსაც ჩვენი თანამემამულე სარდლობდა.

ბელარუსის ტერიტორიიდან 1813 წელს ნაპოლეონის დიდი არმიას კუდიტ ქვა ასროლინენ. რუსეთის მრავალ სარდალს შორის 14 ქართველი გენერალიც იბრძოდა. მათ შორის იმპერიის ერთ-ერთი საუკეთესო არტილერიისტი იყო გენერალი ლევან იაშვილი. ბელარუსის განმათავისუფლებელთა შორის იყო მამაცი გენერალი ივანე გურიელიც, რომელიც თავის ბრძოლასთან ერთად ერთ-ერთი პირველი შეიქრა პარიზში და მონაწილე გახდა ვიენის კონგრესში. ასევე გენერალი, ბელარუსში, მოგილიოვის ოლქშია დაკრძალული. ვიტებსკშია დაკრძალული ბრძოლის მამაცი მეთაური, მეფის გენერალი გიორგი ნითლიძე. ბევრი ბრძოლის მონაწილე მრავალი წლის განმავლობაში მსახურობდა ბელარუსში, დაიმსახურა მისი ხალხის სიყვარული და პატივისცემა... ჩვენ ორასი წლის წინანდელი მოვლენები გავისხენით!

ახლა კი გავისხენით ასი წლის წინანდელი ზოგიერთი პერიპეტია - პირველი მსოფლიო ომის მოვლენები. ამ საშინელ სისხლისმღვრელ ომში ბელარუსის მინაზე მამაცობისა და თავგანწირვის სასწაულებს ასობით ქართველი ავლენდა. ბევრი მათგანი სამუდამოდ მიეზარა ბელარუსის მინას. შარშან აგვისტოში მინსკში მქონდა პედნიერები, მენახა ბელარუსის ტელევიზიის ამბულანსები გადაცემა, რომელიც ჩვენს თანამემამულეს - საქართველოს გრენადერთა მე-14 პოლკის მეთაურს აკაკი ოთხმეურს ეძღვნებოდა.

ბელარუსის ფართო აუდიტორიას უამბებს პირველი მსოფლიო ომის ისტორიაში გერმანელების ლამის პირველი საგაზო შეტევის შედეგად 1916 წლის ივლისში სადგურ სმორგონთან. გაზის ღრუბელში პოლკონიკმა აკაკი ოთხმეურმა მოიხსნა გაზის საწინააღმდეგო ნიღაბი, (მის კვალზე - დანარჩენმა ოფიცრებმა), რათა უკეთესად ეხელმძღვანელა ჯარისკაცებისთვის და წაეხალისებინა ისინი. დაღუპვისთვის განწირულმა პოლკმა მოიგერია შეტევა! დაიღუპა ქართველ გრენადერთა უმრავლესობა, დაიღუპა მათი ლეგენდარული მეთაურიც...

ისტორიკოსის, სმორგონელი პოლკონიკის ვლადუტის თავგამოდებული ძიების შედეგად, ამ ცოტა ხნის წინათ აღმოაჩინეს აკაკი ოთხმეურის საფლავი. როგორც გამოჩნეული მეომარი, ის მაშინ დაკრძალეს ქ. სმორგონის მახლობლად სოფელ მიხნევიჩიში წმინდა ღვთისმშობლის ტაძრის გალავნის შიგნით. რამდენიმე წლის წინათ ქართველმა დიასპორამ გმირის საფლავზე ძეგლი აღმართა. მაშინ მემორიალის გახსნაზე ჩავედინე საქართველოს საგანგებო და საზღვარგარეთი ელჩი ბელარუსში დავით ზაქალიანი, მახლობელი სოფლების ბევრი მცხოვრები.

დღეისთვის ცნობილია კიდევ ერთი საფლავი. მინსკში სტოროუევისკის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალულია ქართველი თავადი ილია ვასილის ძე ჩოლოყაშვილი, რომელიც პირველ მსოფლიო ომში დაიღუპა ის, როგორც ა.გ. ოთხმეური, დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის მეორე ხარისხის ორდენით...

დიდ სამამულო ომში გერმანელი ფაშისტებისგან ბელარუსის გათავისუფლების ოპერაციაში ათობით ათასი ჩვენი თანამემამულე მონაწილეობდა. ი.ბ.სტალინის წინადადებით,



ლევან დოლიძე შალვა სოსხაძის საფლავთან.

სიკეთისთვის დაბადებულნი

ამ ოპერაციამ, რომელიც 1944 წლის ზაფხულში გაიმართა, მიიღო კოდური სახელწოდება „ბაგრატიონი“!

ომის წლებში ფაშისტებმა ბელარუსში ორი მილიონ სამას ორმოცდაჩვიდმეტი ათასი მშვიდობიანი მცხოვრები და სამხედრო ტყვე გაანადგურეს, ბრძოლებში კიდევ რამდენი დაიღუპა...

დიდი სამამულო ომის პირველ დღეებში, 1941 წლის ივნისში ბრესტში სხვა მებრძოლებთან ერთად მამაცურად იბრძოდნენ ჩვენი თანამემამულენიც. მემორიალური კომპლექსის „ბრესტის გმირი ციხე სიმაგრე“ ფილებზე უკვდავყოფილია პოლიტბელის მოადგილის, ნაღმსატყორცნი ალექსანდრე მეთაურის მოადგილის ონისიმე ასათიანის, აგრეთვე რიგითი ჯარისკაცის ირაკლი ბოსტაშვილის, რადისტი ივანე ზედგინიძის და უფროსი სერჟანტის აკაკი შვერდნაძის (საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის უფროსი ძმის, რომელიც 1941 წლის 22 ივნისს დაიღუპა) სახელები. ბევრი დოკუმენტი ციხესიმაგრის დამცველების შესახებ დაკარგულია, გმირთა ძიება გრძელდება...

სწორედ სამხედრო თემა, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის, მასში საქართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ გახდა მთავარი ჩვენს საუბარში ბელარუსის ვეტერანთა საზოგადოებრივი გაერთიანების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარესთან, ბელარუსის რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სოციალური განვითარების მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილესთან, გენერალ-ლეიტენანტ ა.ნ. ნოვიკოვთან. ბატონმა ანატოლიმ სიამაყით აღნიშნა, რომ საბჭოთა წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში, კარგად იცნობს საქართველოს, დიდხანს ცხოვრობდა თბილისში, სადაც, სხვათა შორის, გენერლის მეორე ნოდება მიიღო და სადაც მისი ქალსამხედრო ნოდებით, ჩვენ აღვნიშნეთ სამწუხარო შეცდომა თუ დაუდევრობა. ვიცოდი, რომ ფრონტელი პოეტი, კაპიტანი მირ-

განსვით ბელარუსში ომში დაღუპულ და დღეს იმ მსოფრთხვეს ქართველებს

გენერალ ნოვიკოვისა და ბელარუსში ქართული სათვისტომოს მეთაურის ქართლოს ქავთარაძის, ჩვენი დიასპორის აქტიური წევრების, ძმების ვლადიმერ და სერგი სოსხაძეების, მამუკა ბერძენიძის, გოჩა ჭელიძის, იგორ ზაგაშვილის, სულიკო იოსელიანის, ბელარუსის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს წყალობით შევეძლით შემოგვევლო მთელი ეს შესანიშნავი ქვეყანა, მისი ექვსივე ოლქი; დაგვეთვალიერებინა ის ადგილები, რომლებიც ჩვენი თანამემამულეების გმირობასთანა დაკავშირებული როგორც ომის წლებში, ისე მშვიდობიან დღეებში.

დავინყობთ იმით, რომ ბელარუსში, როგორც ამბობენ, ყოველ ნაბიჯზე განვლილი ომის სამსოფრო ადგილებია: ტრანშეები, სანგრები, გამაგრებული ზღუდეები, სამხედრო სამარხები, ძმათა სასაფლაოები. ყველა მათგანი აკურატილადაა მოვლილი, ყოველ ასეთ სამსოფრო ადგილამდე მიყვანილია მოასვალტებული გზები...

ბელარუსში ჩვენი თანამემამულეების სახელები მიკუთვნებული აქვთ ათობით (!) მოედანს, ქუჩას, სკოლას... ქპოლოცკის ცენტრალურ მოედანზე ძმათა სასაფლაოზე დაკრძალულია პოლკონიკი ილია იოსების ძე მალაშვილი, რომლის სახელსაც ამ ძველ და უღამაზეს ქალაქში ატარებს ერთ-ერთი ქუჩა. მსროლენის პოლკის მეთაურის შალვა ვლადიმერის ძე ჭელიძის სახელს ატარებს ქუჩა ქბრეგინში. ვიტებსკის მახლობლად სოფელ რუჟავკაში არის ძმათა სასაფლაო, სადაც 104 მებრძოლია დაკრძალული. მათ შორისაა მირზა გედეონის ძე გელუოანი. რამდენიმე წლის წინათ, ბელარუსში ჩემი პირველი ჩასვლის დროს, ქართლოს ქავთარაძესთან ერთად ვიყავით აქ. ობტლისკზე, რომელზეც ამოკვეთილია დაღუპულ მეომართა სახელები მათი სამხედრო ნოდებით, ჩვენ აღვნიშნეთ სამწუხარო შეცდომა თუ დაუდევრობა. ვიცოდი, რომ ფრონტელი პოეტი, კაპიტანი მირ-



შენხვედრა მინსკში.

ზა გელოვანი დაიღუპა 1944 წლის ივლისში ბელარუსის გათავისუფლების დროს. ობეტლისკზე კი აღნიშნულია, როგორც რიგითი ჯარისკაცი. ჩვენ მაშინ შევადგინეთ წერილის ტექსტი ბელარუსის მთავრობის სახელზე. მაღლობა ქართული სათვისტომოს მეთაურს, რომ ამჟამად შეცდომა გამოსწორებულია და საქართველოს ერთ-ერთი საყვარელი პოეტის მირზა გელოვანის სახელის გასწვრივ ამოკვეთილია მისი ნამდვილი სამხედრო ნოდება - კაპიტანი. მირზა გელოვანის სახელი მინიჭებული აქვს ადგილობრივ საშუალო სკოლას, სადაც არის მისი სახელობის მუზეუმი, გამოცემულია მისი შესანიშნავი ლექსთა კრებული.

კადრის ოფიცერი, მსროლელთა დივიზიის მეთაური გიორგი ნესტორის ძე ნიტაშვილი დაიღუპა 1944 წლის ივლისში მცირე ბერეტოვიცასთან ბრძოლაში, მისი სხოვნის აღსანიშნავად ერთ-ერთი ქუჩა ატარებს მის სახელს, სკოლის მუზეუმში ექსპონირებულია მასალები მის შესახებ, საფლავზე კი დადგმულია მემორიალური ფილა. ლიხაოვიჩის რაიონის სოფელ ტალმინოვიჩში არის ბატალიონის მეთაურის შოთა გოგორიშვილის ქუჩა - ის ბრესტის რაიონში 1944 წლის 5 ივლისს დაიღუპა.

ბელარუსში პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ივანე გიორგის ძე შუბითიძისა და ვახტანგ მიხეილის ძე თალაკვაძის (ბელარუსის სსრ ლეგენდარული ხელმძღვანელის პიოტრ მირონის ძე მასეროვის მებრძოლი მეგობრების) სახელებს ატარებენ ქუჩები ქალაქებში პინესკა და ნეველიში. ბელარუსის კიდევ ერთი ცნობილი პარტიზანი ამ ცოტა ხნის წინათ უკანასკნელ გზაზე გააცილეს თანამებრძოლებმა, მეგობრებმა, მოგილიოვის ოლქის რაიონული ცენტრის მადლიერმა მცხოვრებლებმა. ეს იყო ძირძველი რაჭველი, 95 წლის შალვა ერასტის ძე სოსხაძე, კაცი, რომელმაც ნათელი კვალი დატოვა ბელარუსში. სტენდი, რომელიც ეძღვნება მის პარტიზანულ და ომისშემდგომ სამშვიდობო გმირობებს, დადგმულია მოგილიოვის ოლქის კრუგლოვის რაიონული ცენტრის ადგილობრივ მუზეუმში, აქ ერთ-ერთი ქუჩა ჩვენი სახელოვანი თანამემამულის სახელს ატარებს. 2014 წლის 25 დეკემბერს აქ საზეიმოდ აღნიშნეს მისი დაბადების 100 წლისთავი.

ბელარუსის დედაქალაქში, აგრეთვე სვეტლოგორსკში არის ქუჩები, რომლებიც ატარებენ სსრ კავშირის გმირის სერგო გედევანის ძე ჭილაძის სახელს, რომელიც 1944 წლის თებერვალში დაიღუპა მოგილიოვის ოლქში. აქ, სვეტლოგორსკის რაიონში, სოფელ დუბრავაში ადგილობრივი საშუალო სკოლა ასევე ატარებს ქართული გმირის სახელს. ყველას ვერ ჩამოვთვლი - აქ ათასობით ქართველი იბრძოდა...

ბევრმა ქართველმა გაითქვა სახელი ომის შემდგომაც, უკვე მშვიდობიან პერიოდში. მაგალითად, ბელარუსის საზღვრის სახელმწიფო კომიტეტში ბევრი საინტერესო რამ მიამბეს ვარლამ კულაშვილის გასაოცარი შედეგის შესახებ. ის ტყვიულის რაიონის სოფელ ახალდაბიდან იყო. ჩვენი თანამემამულე ბელარუსის სასაზღვრო სამსახურის ლეგენდაა. 19 წლის ჭაბუკი ვარლამ კულაშვილი ომის წინ გაინტერესდა სასაზღვრო ჯარებში. მსახურობდა შორეულ აღმოსავლეთში, ბელარუსის გათავისუფლების შემდეგ 1944 წელს გადაიყვანეს დასავლეთ საზღვარზე - ბელარუსის ოლქის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მ-4 სასაზღვრო რაზმში, საზღვრის საგუშაგოზე. თავისი შურუყვნილი სამსახურით ის ჯერ კიდევ სიცოცხლეში იქცა ლეგენდად. ვარლამ კულაშვილი იყო ერთადერთი ყოფილი სსრ კავშირის სასაზღვრო ჯარებში, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დააჯილდოვეს. მის მკერდს ამკობდა ასევე ნათელი ვარსკვლავის ორი ორდენი, სამამულო ომის ორდენი და 20-მდე სხვა მთავრობის ჯილდო. საქართველოს სახელოვანი შვილი 1997 წელს გარდაიცვალა და იგი განსაკუთრებული პატივით დაკრძალეს ქბრესტის გარნიზონის სასაფლაოზე. ამ ქალაქის საპატიო მოქალაქედ ის ჯერ კიდევ 1985 წელს აირჩიეს. ბელარუსის პრეზიდენტის ა.გ.ლუკაშენკოს ბრძანებულებით, სასაზღვრო რაზმს „ბუგს“ ამ ცოტა ხნის წინათ ვაღერინ კულაშვილის სახელი მიეკუთვნა, სახელზე კი ბრესტში, მაშეროვის პროსპექტზე № 26, სადაც ის ცხოვრობდა, დადგმულია მემორიალური დაფა.

ლევან დოლიძე, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, თაილისი-მინსკი-პრესტი, გროდნო-ვიტბასკი-გოვილი-მოვილიოვი. (გაბრძნობა იძნება)



# სპორტი

## ახალ ავალუაში

### სპორტში ბეჭედი რამაა უესაცვლელი



„ომარ, იგივე ხარება ფხაკაძე ცნობილი ქართველი სპორტსმენის ომარ ფხაკაძის ვაჟია. დღეს თავად ხელმძღვანელობს ველოსპორტის ფედერაციას. ჩვენთვის ძალიან დიდი შენაძენი და პატივის მასთან თანამშრომლობა. ბუნებრივია, სპორტის პოლიტიკას გაუწევს კურირებას სხვა საკითხებთან ერთად. ჩვენთვის ეს არის გზავნილი, როგორ

აღამიანებთან ერთად აპირებს „თავისუფალი საქართველო“ საქმიანობის გაგრძელებას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოვიდნენ ახალი სახეები პარტიაში, სუფთა აღამიანები, რომლებიც არ არიან შევარდნაძის, სააკაშვილის თუ ივანიშვილის მთავრობაში სხვადასხვა პოსტებითა თუ ცოდვებით დამამიგებულნი. ბატონი ომარის

განვერინება იქნება გზავნილი ყველა პროფესიონალისათვის, რომ „თავისუფალი საქართველო“ მზადაა მიიღოს ყველა ის აღამიანი, ვისაც ხელი არ აქვს ჩაქნეული საქართველოს მომავალზე. ყველას მოვუწოდებთ, ვინც თავის საქმეს აკეთებს, თავის საქმესთან ერთად კიდევ ცოტა დრო გამოიხაროს პოლიტიკური საქმიანობისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა დარჩება „ოცნებისა“ და ნაციონალების ორპარტიული ჭაობის ხელში“, — განაცხადა კუკავამ.

როგორც ომარ ფხაკაძემ განაცხადა, არსებობს გეგმები, რომლებსაც უახლოეს დღეებში ერთად ჩამოაყალიბებენ და გააცნობენ ჟურნალისტებს.

„დღევანდელმა მდგომარეობამ გადაამანყვეტინა, რომ რაღაც ცვლილებები მოხდეს და ჩავები ამ პროცესში. ბევრი რამაა შესაცვლელი სპორტში, იგივე სპორტის კანონი და ასე შემდეგ. თითქმის ყველაფერი არასწორადაა გაკეთებული. მომავლისთვის უნდა ვეცადოთ მსოფლიოში არსებულ სტანდარტებს გავუთანაბრდეთ, სხვა ქვეყნებიდან რაღაცეები გადმოვიღოთ, რათა სპორტმა სწორად იფუნქციონიროს. ერის გაჯანსაღებაზე უნდა იყოს საუბარი და არა მხოლოდ დიდ მიღწევებზე“, — განაცხადა ფხაკაძემ.

ვიტალი ჯაფარიძე

## სამო

### სერბული ალაფით

ძარტველი სამბისტები ნებისმიერი შეჯიბრებიდან უზვი ნადავლით ბრუნდებიან. ჩვენმა ჩოხოსანმა ფაღავენებმა ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს — გასულ უქმეებზე სერბულ ნოვი სადში გამართულ ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზეს. ჩვენებურთა ანგარიშზე 6 ოქროს, 5 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალია.

ჭაბუკებმა 9 ჯილდო დაიმსახურეს — 10 წონიდან 6-ის ფინალში იჭიდავეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ჯამბულ ქურდიანი (65), ნიკა სიდამონიძე (87) და დავით რაზმაძე (+87). ხოლო ჯაბა პაპინაშვილი (48), ენვერ ლაცაბიძე (52) და ტრისტან მოსახლიშვილი (75) გადაამწყვეტი პაექრობები წააგეს და ვერცხლის მედალებს დაყაბულდნენ. ვახტანგ მეტივიშვილს (56),

ალექსი ქიტიაშვილსა (70) და იმედა გოგოლაძეს (81) ბრინჯაოს მედალები ერგოთ. ამ წარმატებით ჭაბუკებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს.

ახალგაზრდებმა 7 მედალი დაიბევეს: 3 „ოქრო“ და 2-2 „ვერცხლ-ბრინჯაო“. ჩემპიონები გახდნენ: ირაკლი კუპატაძე (57), თორნიკე ჭოველიძე (68) და დავით ოზბეთელაშვილი (100). მეორე ადგილებზე გიორგი მელქუაშვილი (48) და ირაკლი გოგია (90) გავიდნენ, გიორგი მირაშვილი (52) და გიგა გელაშვილი (100) კი მესამე ადგილებს დასჯერდნენ. გუნდურ ჩათვლაში ჩვენებს მეორე ადგილს ერგოთ რუსების შემდეგ. ერთი ბრინჯაოს მედალი გოგონების ანგარიშზე მოდის: 56 კილოგრამ წონით კატეგორიაში სალომე აბაშიძე მესამე ადგილზე გავიდა.

ლემო ცინცაძე



## ჩოგბურთი

### ნოვაკ პიროვილი



მსოფლიო რეიტინგის ლიდერი ნოვაკ ჯოკოვიჩი პირველი ჩოგბურთელი გახდა, რომელმაც სეზონის სანჯისი 3 „მასტერს 1000“ მოიგო. მონტე კარლოს შეჯიბრების ფინალში სერბმა ტომას ბერდისს 7:5, 4:6, 6:3 სძლია, წლის დასაწყისში კი ინდიან უელსსა და მაიამიში იმარჯვა. ამასთან, „ნოლემ“ ზედიზედ მეოთხე და კარიერის განმავლობაში 23-ე „მასტერს 1000“ მოიგო.

ჯოკოვიჩისა და ბერდისის ფინალი 2 საათსა და 42 წუთს გაგრძელდა. ბალკანელის ანგარიშზე 5 ბრეიკი და 2 ეისია. ნოვაკისა და ტომასის პირადი შეხვედრების ანგარიში 19:2 გახდა.

Monte-Carlo Rolex Masters-ის მთავარი პრიზის მოპოვებასთან ერთად ჯოკოვიჩმა 1000 სარეიტინგო ქულა და 628100 ევრო დაიმსახურა. შეგახსენებთ, რომ „ნოლემ“ მეორედ იმარჯვა მონტე კარლოში.

ბანუარ ბიორბაძე

## ტრაგედია

### ბრაზილიაში 8 გულშემატკივარი მოკლეს

მსოფლიო მედიაში გავრცელებული ინფორმაციით თანახმად, ბრაზილიის ქალაქ სან პაულუსში „კორინთიანის“ 8 გულშემატკივარი მოკლეს. ქობაგები „პალმეირასთან“ გასამართი შეხვედრის წინ ბანერის დამზადების პროცესში იყვნენ, როდესაც პოლიცია მათ მიუახლოვდა და 7 მათგანს ძირს დანოლა უბრძანა. მერვე აღამიანმა გაქცევის მიზნით სამართალდამცავებს ცეცხლს გაუსხსნა და უზედურებაც ამ დროს დატრიალდა.

ბრაზილიური პოლიციის განცხადებით, გარდაცვლილები ნარკოტიკული საშუალებების გასაღებას ეწეოდნენ, კრიმინალური დაჯგუფების წევრები იყვნენ და ფეხბურთის ამოფარებულები ბიზნეს ეწეოდნენ.

ბრაზილიურ ფეხბურთში ძალადობის პირდაპირი და არაპირდაპირი გზებით დაღუპულთა რიცხვი ნელ-ნელა იზრდება. გავრცელებული ინფორმაციით, ბევრ კლუბს ჰყავს მხარდამჭერთა ჯგუფები,

რომლებიც მოედნის გარეთ კრიმინალურ საქმიანობას ეწევიან.

ქობა ქობაძე



## ქალოსნობა

### სამი „პერსხლი“ და ერთი „ბრინჯაო“



თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ძალოსნათა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც 38 ქვეყნის 300-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. ქართველთაგან ფიცარნაგზე რვა ვაჭი და ორი გოგონა გავიდა, რომელთაგანაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა ირაკლი თურმანიძემ.

ქართველმა ძალოსანმა ატაცში სამივე ცდა გამოიყენა (192-197-201) და მცირე ვერცხლის მედალი ხვდა; ჩვენებურს კილოგრამით აჯობა 190-კილოგრამიანმა რუსმა გოლიათმა ჩინგიზ მოგუშკოვმა. ირაკლიმ აკვრაშიც იყოჩაღა — მესამე ცდაზე იოლად დაძლია 234 კილოგრამი, რაც ვერცხლის მედალისთვის აღმოჩნდა საკმარისი. უკრაინელმა ოლეგ პროშაქმა 235-კილოიანი შტანგა დაიმორჩილა,

რამაც მცირე ოქროს მედალი და ევროპის ჩემპიონობა მოუტანა. მართალია, უკრაინელმა ორჭიდში, ირაკლი თურმანიძის მსგავსად, 435 კილოს მოუყარა თავი, მაგრამ ქართველ მეტოქეზე 840 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა და პირველობაც მას ხვდა. 432 კილოთი ბრინჯაო მოგუშკოვს ერგო.

ორწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ დაუბრუნდა ფიცარნაგს დავით გოგია. ატაცში პირველი ცდა მას გაუტყუდა, მეორეცისამეზე კი, შესაბამისად, 177 და 181 კილო აიტაცა, ანუ იმდენი, რამდენიც სიმონ მარტიროსიანმა, მაგრამ გოგია მეტოქეზე მსუბუქი იყო და ბრინჯაოს მცირე მედალიც მან დაიმსახურა. ქართველმა ძალოსანმა 210 კილოგრამი იოლად აკრა, მაგრამ შემდეგ 216-კილოგრამიანი შტანგა ვერ დაიმორჩილა და 391 კილოგრამით საბოლოოდ მეცხრე ადგილზე აღმოჩნდა.

„მინდა მაღლობა გადავუხადო მთელ ქართველ ერს, პირადად კახი კახიაშვილსა და ზურაბ ბოქოშვილს. ევროპის ჩემპიონატი ფანტასტიკურად იყო ორგანიზებული. ასეთი დონის ტურნირის მასპინძლობა მხოლოდ მშენიერ



დარბაზში შემოსვლა როდია. აქ არის უამრავი ნიუანსი, რომლებიც იდეალურად გახლდათ მოწესრიგებული. დიდი მაღლობა საორგანიზაციო ჯგუფს ასეთი ბრწყინვალე ჩემპიონატისთვის. საქართველოს ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატის მიღების დიდი შანსი აქვს“, — თქვა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ტამაზ აიანმა.

გივი ბაგვა

სურათებზე: ირაკლი თურმანიძე; დავით გოგია.

## ფეხბურთი

### ევროპის სტალიონებზე



იტალია. „იუვენტუსი“ — „ლაციო“ 2:0, „ინტერი“ — „მილანი“ 0:0, „კალიარი“ — „ნაპოლი“ 0:3, „რომა“ — „ატალანტა“ 1:1.  
 ესპანეთი. „ბარსელონა“ — „ვალენსია“ 2:0, „გრანადა“ — „სევილია“ 1:1, „რეალი“ — „მალაგა“ 3:1, „დეპორტივო“ — „ატლეტიკო“ 0:2.  
 ინგლისი. „ჩელსი“ — „მანჩესტერი“ 1:0, „სიტი“ — „ვესტ ჰემი“ 2:0, „ნიუკასლი“ — „ტოტენჰემი“ 1:3.  
 ასოციაციის თასის ნახევარფინალი. „არსენალი“ — „რედინგი“ 2:1 (დამატებით დროში), „ასტონ ვილა“ — „ლივერპული“ 2:1.  
 ბერმანია. „ჰოფენჰაიმი“ — „ბაიერნი“ 0:2, „ლევერკუზენი“ — „შპანოვერი“ 4:0, „ვოლფსბურგი“ — „შალკე“ 1:1, „ვერდერი“ — „ჰამბურგი“ 1:0.  
 საფრანგეთი. „ნიცა“ — „პარი სენ-ჟერმენი“ 1:3, „ლიონი“ — „სენტ ეტიენი“ 2:2, „მონაკო“ — „რენი“ 1:1.


გიორგი შოთაძე



© უმე დღეების ჩანაწერები

# ბელი ერთი ლექსისა და მისი ავტორისა

1980-იან წლების დასაწყისში. გაზეთ „კომუნისტში“ ვმუშაობ. ერთ დღეს მეძახის რედაქტორი...  
— ამ საღამოს მარჯანიშვილის თეატრში გიორგი შავგულიძის სსოფის საღამოა. უნდა გაეაშუქოთ... აბა, შენ იცი... — მეუბნება ბატონი გიორგი ბედინიშვილი.



...მართლაც ჩინებული საღამო იყო, ვინ აღარ გამოვიდა სცენაზე, ვინ აღარ მოიგონა ეს არაჩვეულებრივი მსახიობი და სამაგალითო პიროვნება. მოვიდვარ თეატრიდან, უკვე რაღაც-რაღაცებს „ვალაგებ“ გონებაში და, რაც მთავარია, მომავალი წერილის სათაურად ვირჩევ სტრიქონს მიხეილ ქვლივიძის ლექსიდან — „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“.

რომელიც გიორგი შავგულიძის ტრაგიკულად დაღუპვას მიუძღვნა პოეტმა. დაიბეჭდა გიორგი შავგულიძის სსოფის საღამოსადმი მიძღვნილი ჩემი წერილი და, მეორე თუ მესამე დღეს, ისევ მეძახის რედაქტორი.  
შევდივარ და ვხედავ, იქვე ზის მიხეილ ქვლივიძე. — ა, ბატონო, წერილის ავტორი! — ჩემზე ანიშნებს გიორგი ბედინიშვილი. წამოვდგა ბატონი მიშა, ალერსიანი ღიმილით ჩამომართვა ხელი: — ეს რა მიყავი კაცო, ორი დღეა, ქვეყანა მირეკავს, თქვენმა გაზეთმა ნამეტანი პოპულარული გახადა „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“... იგი ლექსების კრებულში, ასე ვთქვათ, ჩაკარგული იყო, თქვენმა გაზეთმა კი მთელ საქართველოს გააცნო... მოკლედ, მადლობის სათქმელად მოვიდი...  
— ხედავ? — იღიბება რედაქტორი — რახან გვესტუმრა, წაიყვანე შენთან, ისაუბრეთ პოეზიაზე, აქეთურზე, იქითურზე... სანტერესო ბიოგრაფიის კაცია!.. სომ ხარ თანახმა, მიშა?..  
— ჭირიმე თქვენი!..  
ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში, სასაუბროდ ვსხდებით...

... \* \* \*  
ისე მოხდა, რომ მიხეილ ქვლივიძემ კარგა ხანს მოსკოვში იცხოვრა და იღვანა. ახალგაზრდა კაცი წავიდა თბილისიდან. მოსკოვში სახელი და პატივი არ აკლდა, მაგრამ მშობლიური კერის სიბო, რა თქმა უნდა, სხვაა.

— განა არ ჩამოვდიოდი? — მიყვება ბატონი მიშა, — ისე რა გამძალებინებდა, წელიწადში სამჯერო-ოთხჯერ აქ არ ვყოფილიყავი. ერთხელ დავინახარი შე და 160 რეისი გამოვიდა თვითმფრინავით ნამგზავრი... რუსული ენა დედამ შემასწავლა... განათლებული ქალი იყო, ადრე დაობლებულა და პანსიონში გაუზრდიათ, იქ შეუსწავლია რუსული...  
— რამდენადღაც ვიცი, თქვენ თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდით...  
— სწორია, მაგრამ თავიდან ცოტა სხვაგვარად იყო: სკოლა რომ დავამთავრე, სწორედ იმ დღეს დაიწყო სამამულო ომი, სურათის ვიდეოდით კლასები და ფოტოგრაფია გვითხრა ეს ამბავი. ბიჭების უმრავლესობა ფრონტზე წავიდა და ბევრი აღარ დაბრუნებულა. მე თექვსმეტი წლის ვიყავი, არ გამინვიეს და თბილისის უნივერსიტეტში შევედი ფილოსოფიის ფაკულტეტზე. მეორე კურსიდან უკვე მობილიზაცია გაგვიკეთეს, მაგრამ ფრონტის მაგივ-

რად, შრომით რეზერვებში გამგზავნეს — საავიაციო ქარხანაში ზეინვლად დავიწყე მუშაობა... მერე, რატომღაც უნივერსიტეტს აღარ დავუბრუნდი და სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარე გრაფიკის ფაკულტეტზე. კარგ სტუდენტად ვითვლებოდი და ასპირანტურაში დამტოვეს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის განხრით. დისერტაციაც დავწერე — „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების ისტორია“.

ორჯერ წიგნად გამოვიდა ეს ნაშრომი... მაგრამ დისერტაცია აღარ დამიცავს... რა ვიცი... იმ დროს უკვე ლექსებს ვწერდი, 1952 წელს პირველი ნიგნიც გამოვიდა, ამიტომ დისერტაცია გვერდზე დარჩა, მოკლედ, ორი საქმე არასოდეს მიკეთებია, პოეზიისთვის მინდოდა მიმეძღვნა ყველაფერი და აკისრე გამოვიდა. მიმაჩნია, რომ პოეზიაში პროფესიონალი ვარ, მხატვრობაში — მოყვარული.

— გიორგი შავგულიძეს ახლოს იცნობდით?  
— მაშ!.. ბედინიშვილმა მქონდა ჭიქაც აგვეცნია ერთად...  
— როგორ წერო ლექსში? „რამდენი ჩვენგან წასული კაცის ვერ გადავიხდით ვერასდროს ამბავს, მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც — კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“...  
— ჰო... იგი მართლაც სხვა იყო, პენიტა და ლაზათით, ნაქანდაკარი, სწორუპოვარი ტანის მოქნილობითა და მიხვრა-მოხვრით. მის გამორჩეულ მანერებს ბაძავდნენ, იგი რომ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე გამოდიოდა, მაყურებელთა ტაში „ზემელზე“ აღწევდაო. რამდენი ასეთი ლექსი და შეუთხზა ხალხმა...

... \* \* \*  
...დიდხანს ვისაუბრეთ, რაც დაიბეჭდა კიდევ. ამ პუბლიკაციამ დაგვაგებობრა. ბატონი მიშა, ყველა სიკეთესთან ერთად, სუფრის კაციც იყო და, საბედნიეროდ, აქაც ვყოფილვარ მის გვერდით. ხშირად ახსენებდა ხოლმე თავის ციციქნა ვაჟიშვილს: „ამ ასაკში ბიჭიც მარჯა გნებებამ, მამაჩემის სახელი დავარქვი — გიორგი, ჩემი ცხოვრება მის ნერწყვზე შეიძია“.

ახლა უკვე დაკაცებული იქნება გიორგი, რომელსაც, რა გასაკვირია, საამაყოდ ექნება შეილობა ისეთი პოეტისა, რომელმაც ბევრი კარგი ლექსი შემატა ქართული პოეზიის საგანძურს, ხოლო დიდებულმა ლექსმა „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“, შეიძლება ითქვას, განადიდა მისი სახელი. მაშ, რა ვთქვათ? სტრიქონები, რომლებიც გიორგი შავგულიძის უღვთოდ დაღუპვის — 1959 წლის აპრილის (55 წელი გასულა!) უშალ დაინერა, დღესაც მთელ საქართველოს, მთელ თბილისს სინანულით გაახსენდება ხოლმე რომელიმე სამაგალითო პიროვნების ამ ქვეყნიდან წასვლის უაშს.

ჰოდა, დიდებულება ლექსისა და მისი ავტორისა, მეტი რაღაა?!

მიხეილ ქვლივიძე ამ გაზაფხულზე 90 წლისა გახდებოდა!..




ვილან მარაღალიშვილი

© ჰოეზის გახსენება

# მუზის გრიგალი ბიბლიოთეკაში

პარასკევს თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა უამრავ ადამიანს სტუმრობდა. მიზეზი სტუმრიანობისა კი, პატივგება გახლდათ ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასული შესანიშნავი ჟურნალისტისა და პოეტის ლაშა ბახარაძის, უფრო ზუსტად, ლაშას მეგობრების მიერ გამოცემული წიგნის წარდგინება. „ლაშა ბახარაძე — ქართულ პოეზიაში მომარადნილი გრიგალი“ ასე დაუსათაურებიათ შესანიშნავი პოეტის ლია ნაროუშვილის რედაქტორობით გამოცემული ეს პატარა კრებული, რომელიც ლექსებთან ერთად შესულია წლების სიგრძეზე სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მოგონებები, რომელთა ავტორებიც პოეტის უახლოესი მეგობრები, ცნობილი პოეტები და ჟურნალისტები არიან.



ამ შესანიშნავ საღამოს ლია ნაროუშვილი და ახალგაზრდა პოეტი ოთარ ფალიანი უძღვებოდნენ. ინიციატორები კი ბიბლიოთეკის სამეცნიერო დარბაზის გამგე მზია აროშიძე, მთავარი სპეციალისტი ლამარა დევედარიანი და მარინე თარხნიშვილი გახლდნენ. მოგონებებით გამოვიდნენ ლაშას მეგობრები — პოეტები ერეკლე სალიანი, ლალი აფშილავა, თემურ ჭუმბაშვილი, რამაზ ბერაძე, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე სპარტაკ ქობულაძე, პოეტის მეუღლე, ცნობილი პედაგოგი და მწვრთნელი როზა ბერიკაშვილი და მისი ალსაზრდელები, ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

სიხარულის ცრემლს ვერ მალავდა როზა ბერიკაშვილი, პოეტის ღრმადი ხმით ვეუბნებოდა: „ლაშა ბახარაძე, რომელიც დააკლდა ქალაქს, მთელი ქვეყანისთვის დაკარგული იყო...“

დასასრულ ყველა დამსწრემ მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას, რომლებიც მართლაც საშველივილო საქმეს აკეთებენ — არა მარტო წიგნის სიყვარულს უნერგავენ ახალგაზრდობას, არამედ იმ მამულიშვილთა სახელებსაც არ ივიწყებენ, რომელთა წიგნებიც ამ შესანიშნავ ბიბლიოთეკაში არის თავმოყრილი.

ამთანავე ბახარაძე

© ინფორმაცია

# პეპა მარაღალიშვილის ოჯახის დასახმარებლად

შინაბან საქმეთა სამინისტრო თბილისში მოკლული პოლიციელის ბეჟა მარაღალიშვილის ოჯახის გარდა, საცხოვრებელ ბინას ბორჯომში მოკლული სამართალდამცველის ოჯახსაც შეუძენს.

როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომეზაურმა განაცხადა, შესაბამისი გადაწყვეტილება მთავრობამ გუშინდელ სხდომაზე მიიღო.

რაც შეეხება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან ომში დაღუპული პოლიციელების ოჯახის დახმარების შესახებ კანონპროექტს, ვახტანგ გომეზაურის განმარტებით, აღნიშნული კატეგორიის სამართალდამცველთა ოჯახები სახელმწიფოსგან ყოველთვიური — 1000-ლარიანი დახმარების გარდა, ერთჯერადად 100 000 ლარსაც მიიღებენ.

„კანონპროექტი სხდომაზე გავიტანეთ. მთავრობამ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყველა პოლიციელის ოჯახი ყოველთვიურად დახმარების სახით 1000 ლარს მიიღებს. ეს შეეხება 1991 წლიდან დაღუპული ყველა იმ პოლიციელის ოჯახს, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაიცვალა. ასევე, მთავრობამ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყველა დაღუპულ პოლიციელზე გაიცემა ერთჯერადი დახმარება 100 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული ცვლილება ამოქმედდება მას შემდეგ, რაც პარლამენტი შესაბამის კანონპროექტს მიიღებს და ძალაში შევა. რაც შეეხება მიმდინარე წლის განმავლობაში თბილისსა და ბორჯომში მოკლულ პოლიციელებს, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მათ ოჯახებს შინაგან საქმეთა სამინისტრო ბინებს შეუძენს“, — აღნიშნა შს მინისტრმა.

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

2015 წლის 14 მაისს, 12 საათზე ჩატარდება სს „მუხნარის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

- სს „მუხნარის“ ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
- სს „მუხნარის“ სხვაგვარად დატვირთვის ან გასხვისების შესახებ;
- სს „მუხნარის“ მიერ აუდიტის არჩევის შესახებ.

მისამართი: ქ. თბილისი, შ. შარტავას ქ. №42, I სადარბაზო, ნოტარიუს სოსო მუმლაძის სანოტარო ბიურო.

**რეკლამა**      **მაჩაბის ქ. №7.**  
293-37-87; 568 82-09-84..

© პროგნოზი

# 24 აპრილის ჩათვლით საქართველოში სივი და ნალექიანი ამინდი მოსალოდნელი

მომავალ დღეების განმავლობაში, სინოპტიკოსები საქართველოს მასშტაბით ამინდის გაუარესებას პროგნოზირებენ. როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრში განაცხადეს, მომდევნო დღეებში საქართველოში სიცივე, ტემპერატურის შემცირება და ნალექია მოსალოდნელი.

დასავლეთ საქართველოში ხვალ წვიმა, მაღალ მთაში კი თოვლია მოსალოდნელი. ტემპერატურა დღითი +12, ღამით +6 გრადუსი იქნება. წვიმა, მაღალ მთაში კი თოვლი იქნება აღმოსავლეთ საქართველოშიც. ტემპერატურა დღისით +13, ღამით +5 გრადუსი იქნება. სინოპტიკოსები დედაქალაქში წვიმას პროგნოზირებენ. ტემპერატურა თბილისში დღისით +13, ღამე +5 გრადუსი იქნება. ცივი და ნალექიანი ამინდი საქართველოში 24 აპრილის ჩათვლით შენარჩუნდება.

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

2015 წლის 16 ივნისს დღის 14 საათზე, ქ. რუსთაველი, მშვიდობის ქ. №12-ში, შპს „ფილიმასკა.ჯი“-ის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება ტყავის გადასამუშავებელი საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის (გზშ) საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ტყავის გადამამუშავება. საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცემის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

● შპს „ფილიმასკა.ჯი“-ის ადმინისტრაცია — ქ. რუსთაველი, მშვიდობის ქ. 12 (კომპანიის ოფისი). ტელ: 577944002.

● შპს „გუჯა“, თბილისი, აბო-თბილელის ქ. 12. ტელ: 57902010.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე. საკონტაქტო პირი: ლევან ჩუთლაშვილი, ტელ: 577 944 002.



დედაქალაქი

ზოოპარკთან, ისევე, როგორც მთელ თბილისში



სტუმრები არადროს აკლდა თბილისის ზოოპარკს, მაგრამ წლებიდან გაზაფხულზე იმდენი დიდი თუ პატარა მნახველი მიდის ეგზოტიკურ ფრინველ-ცხოველთა სანახავად, თავად ზოოლოგიური ბაღის ძველი თანამშრომლებიც გაკვირვებულნი არიან.

იმის მიუხედავად, რომ ამინდი პატარების გარეთ სერიოზობას ხელს ვერჯერობით მაინცდამაინც არ უწყობს, ზოოპარკის საღაროებთან დღის მანძილზე მაინც მუდამ ხალხმრავლობაა — გასართობად პატარები არა მარტო თბილისელებს, არამედ სხვადასხვა მხარეებიდანაც, ახლომდებარე სოფლებიდანაც ჩამოიყვანენ. ისინი კი, ვინც ცხოველთა ხილვით ვერ დიდად ვერ ერთობა, იქვე ნაძვარში, წინვეების საამო სურნელში ნაირფერ სიზმრებს ნახულობენ თავთავიანთ ეტლებში...

თუმცა კი, მათზე მოზრდილ ბავშვებს ზოოპარკი უამრავ სიხალეს სთავაზობს. მისი დირექტორის ზურაბ გურიელიძის თქმით, თბილისის ზოოპარკი ერთ-ერთი წარმატებულია ტყვეობაში მცხოვრებ სხვადასხვა მხარის ველურ ცხოველთა სიმრავლით.

— ცოტა ხნის წინათ გოჭები დაყარა გარეულმა ტახმა, ნაშიერი ეყოლა მაიმუნს, კვიციები მოიგო ზებრამ, — თქვა პატარა ზურაბმა. — სადღეისოდ ზოოპარკში ხუთი ზებრა გვყავს, რამდენიმე ცხოველი ჩვენს მეგობარ ზოოპარკებს ვაჩუქეთ, ახალი ვოლიერები მოვუწყეთ აფთრების ოჯახს, უიშვიათეს თეთრ ლომთა პრაიდს, სადაც მათან ერთად... პუდელის ჯიშის ძაღლიც კი ცხოვრობს. მოკლედ, ყველაფერი კარგად, თავისი წესითა და რიგით მიდის, მალე ახალ იშვიათ ცხოველებს ველოთ.

ტრადიციულად უამრავი მნახველი თავმოყრილი სპილოების ვოლიერთან, რომელთანაც თივის



ზვინიდან გაკეთებული მამონტის გამოსახულება დადგმული. პატარების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თხების დიდი არწვე, რომლებშიც განსაკუთრებით გამორჩეულია პატარა კოპანია ციკნები, რომლებიც არაჩვეულებრივი მოხდენილობით დახტიან კლდეზე.

მოკლედ, ზოოპარკის ცხოვრება გაზაფხულის შესაფერისად ძალუდად იფურჩქნება, ყველაფერი რიგზეა ამ მხრივ, ოღონდ, ისევე, როგორც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ მხარეს,



აქაც გარკვეული „მაგრამ“ არის გამორეული. საქმე ისევე და ისევე ყბადაღებულ ავტომანქანების გასაჩერებელ ადგილებს ეხება, რომლებიც დედაქალაქს კატასტროფულად არ ჰყოფნის. ამ მხრივ არც ზოოპარკის მიმდებარე ტერიტორიაა გამონაკლისი — განა რა გასაკვირია, რომ თბილისელებს თუ რაიონებიდან ჩამოსულელებს თავიანთი პატარები ზოოპარკში მანქანებით მოჰყავთ, მერედა ის მანქანა სადღაც ხომ უნდა გააჩერონ? ჰოდა, გადაჭედულია ყოველდღე ზოოპარკის წინ ტროტუარი ავტომანქანებით, ისეა გადაჭედული, რომ მათ არათუ საბავშვო ეტლით მისული კაცი, ჩვეულებრივად ფეხით მოსიარულეც ძლივს უქცევს გვერდს! ყველამ ვიცით, რომ ახლო მომავალში ჩვენი ზოოპარკი ადგილმდებარეობას შეიცვლის, ახალ ბინაზე, იმედია, ავტოსადგომიც შესაფერისი იქნება, მაგრამ ვიდრე ამ ახლომოსახლეობას ველირსებით, იქნებ მანამდე მაინც მიხედნათ ამ ადგილისთვის დედაქალაქის მერიის თუ რაიონის გამგეობის ჩინოსნებს და საქმე მარტო ავტომანქანების მძლოლთაგან „ხარკის აკრეფით“ არ შემოიფარგლოს?!

ოთარ მერიშვილი ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

ჩვენი კარავადინი

ვირუსი თუ ბაქტერია

სისხლის ახალი ანალიზი, რომელიც სწრაფად განსაზღვრავს, ავადმყოფს აქვს ბაქტერიული ინფექცია თუ ვირუსული და, შესაბამისად, მას უნდა დაენიშნოს თუ არა ანტიბიოტიკები, დაამუშავეს ისრაელელმა მედიკოსებმა.

ბაქტერიები და ვირუსები ორგანიზმში მოხვედრის დროს ამოქმედებენ სხვადასხვა ცილოვან კასკადებს. ახალი ტესტისთვის მნიშვნელოვანი გახდა ცილა TRAIL მისი კონცენტრაცია მაღალია ვირუსული ინფექციების დროს და მცირე — ბაქტერიული დროს.

ახალმა მეთოდმა სწორად განსაზღვრა დაავადების ბუნება ინფექციაზე ექვის 300-ზე მეტ პაციენტში. ტექნოლოგია საშუალებას იძლევა შედეგი მივიღოთ 2 საათში, მაშინ როდესაც ჩვეულებრივი პროცედურა გამოკვლევის რამდენიმე დღეს მოითხოვს.

კარგი განათლება ადამიანს პედნიარს არ ხდის

ადრე მიაჩნდათ, რომ იგი საშუალებას გვაძლევს, უფრო კომფორტულად ვიგრძნოთ თავი. მაგრამ ახალმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ კარგმა განათლებამ, პირიქით, შეიძლება ფსიქოლოგიურ პრობლემებთან მიგვიყვანოს — კერძოდ, ამაღლებულ მოლოდინებთან (როგორც კარიერაში, ისე ურთიერთდამოკიდებულებაში).

ქალუბი და მამაკაცები

სხვადასხვაგვარ სიზმრებს ხედავენ

ძალბატონები უფრო ხშირად ხედავენ რომანტიკულ სიზმრებს ან კოშმარებს. მამაკაცებს ჩვეულებრივად ესიზმრებათ აგრესიის, მეტოქესთან ბრძოლის ეპიზოდები. განსხვავდება დამოკიდებულებაც სიზმრებისადმი: ქალები ძილში ნანახს უკეთებენ ანალიზს, მამაკაცები კი ყურადღებას არ აქცევენ ღამის სახეებს და არ ეძებენ მათში ფარულ აზრს.

შეიქმნა ხელსაწყო, რომელიც საშუალებას იძლევა, ამოვიხსნოთ ინფარქტი მის გაჩენამდე 10 წლით ადრე

იგი ბრიტანეთის გულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა დაამუშავეს. აპარატი ანალიზს უკეთებს სისხლში ქოლესტერინის, არტერიული წნევის, ადამიანის მავნე თვისებების მონაცემებს და ანგარიშობს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა რისკს.

კადრი



ცინცხალი ანეკდოტები

ერთი დონ კიხოტი შესანიშნავია. ასე დონ კიხოტისგან კი უკან მოუხედავად უნდა მოქუსლო.

ცნობილია მისი მომთხრობის უბის წიგნებიდან „ავებს ბლომად საჭმელი უნდა დაუყარო, ალერსიანებს კი საკმარისია ჯოხი აჩვენო“.

„სრული სვლით უკან“ — ჩვეული შორსმჭვრეტელობით ბოლოს და ბოლოს გასცა საჭირო განკარგულება მესაჭემ.

ზომბაში, როცა ყველა იძინებდა, ჯიშინი ძაღლის პატრონი ვასო ტ. ყელზე თავისი საყვარელი ოთხფეხა მეგობრის ოქროსა და ვერცხლის მედლებით დამპიძეულ საყელს იკიდებდა.



ზომბს ეჩვენება, რომ ეშმაკ შეაცდინა,

ზოგიც ფიქრობს, რომ ღვთის წყალობაა.

თქვენ კიდევ ცოცხალი ხართ? — მკითხა გაოცებულმა ჩემმა მკურნალმა ექიმმა, რომელიც დილით ქუჩაში შემხვდა.

ძირითადად ლამაზმანს ინტერვიუს ართმევენ: — რომელი დღე იყო თქვენს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი?

— რა გითხრათ, აბა... — იბნევა ქალიშვილი, — იცით, ეს დღე არ იყო...

— უშეშეშე სიცხე 70 გრადუსი იქნება, იცი?! — ეუბნება შაქრო მითუას.

— ეგ როგორა, კოცო? ხო დაიწო რაც ქვეყანაზე ბალ-ვენახებია!

— როგორ და ჭრელადა. 35 გრადუსი შაბათს იქნება, 35-ცა კვირასაა გაიგე-ე?

Advertisement for Sakartvelos Respublika magazine, issue No. 7. Includes contact information, ISSN 2233-3851, and subscription details.